ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## მამუკა კუდავა: „ვიზალიბერალიზაციას საქართველო აუცილებლად მიიღებს“



გვ.3

**14 ივნისიდან**

ალბერტო მორავია

**ჩოჩარა**

ოქროს ბიბლიოთეკა ტომი 6

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი



სამშაბათი, 14 ივნისი, 2016 №139 (7065) ფასი: 50 თეთრი

# მანანა კობახიძის ძმას, თედო კობახიძეს, ფულის გამოძალვაში ადანაშაულებენ



გვ.2

სევდია უგრეხელიძე: „ეს არის სირცხვილი“



## დეპუტატის საქმეს საკრებულო შეისწავლის

რატომ დატოვა ბურჭულაძის პარტია მისმა ერთ-ერთმა დამფუძნებელმა



გვ.2

## მერაბ მეტრეველი: „ქართული ოცნების“ მთელი ნეგატივი ივანიშვილმა შეისრუტა“

პირველი ვიცე-პრემიერის თანამდებობა, რომელზეც დიმიტრი ქუმსიშვილი დაინიშნა, მინისტრთა მოქმედ კაბინეტში სიახლეა.



გვ.4

## კვირიკაშვილი პარლამენტის თავმჯდომარედ, ქუმსიშვილი პრემიერად?



გელა ნიკოლაიშვილი: „ფარული კადრები მაშინვე უნდა დაიბლოკოს“



გვ.4



გვ.7

ხაჯიმბა პოზიციების განმტკიცებას ცდილობს?



გვ.3

## თეა წულუკიანი: „არის თუ არა საკონსტიტუციო სასამართლო ნაციონალური მოძრაობის სამსახურში?“

„საკონსტიტუციო სასამართლოსგან პასუხებს ველოდები“

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა

## ქართული იდეა



გვ.5

## სუს-ის ანტიკორუფციულმა სააგენტომ ქრთამის აღების ფაქტზე ერთი პირი დააკავა

გვ.2

ISSN 1987-9385

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# მერაბ მეტრეველი: „ქართული ოცნების“ მთელი ნეგატივი ივანიშვილმა შეისრუტა“

## რატომ დატოვა ბურჭულაძის პარტია მისმა ერთ-ერთმა დამფუძნებელმა

შორენა მარსაგიშვილი

რა სტატუსით მართავს პრეს-კონფერენციებს ბიძინა ივანიშვილი, რატომ ესხმიან თავს ბურჭულაძის პარტიას მეოცნებეები, არის თუ არა მათ რიგებში რუსთავი 2-ის ერთ-ერთი ამწიოკებელი? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ პარტია „სახელმწიფო ხალხისათვის“ ერთ-ერთი ლიდერი **მერაბ მეტრეველი** ესაუბრება.

***– ბოლო ხანებში ბიძინა ივანიშვილი მედიასთან შეხვედრებს ხშირად მართავს. მის გააქტიურებას რითი ხსნით?***

– მისი გააქტიურება წინასაარჩევნო პერიოდს უკავშირდება. მან ძალიან კარგად იცის, რომ „ოცნების“ რეიტინგი არის დაბალი. ხელისუფლებამ ჩაატარა კვლევა და ნახეს, რომ 25%-იანი რეიტინგი აქვთ მხოლოდ. 25%-ით არჩევნებს, ბუნებრივია, ვერ მოიგებ. შესაბამისად, ივანიშვილი ცდილობს, „ოცნებას“ რეიტინგის წამოწევაში დაეხმაროს.

***– პრესკონფერენციებით?***

– პრესკონფერენციებითაც, თუმცა ისიც საკითხავია, გამოიღებს თუ არა ეს შედეგს. დღეს მთელი ნეგატივი, რაც „ოცნების“ მიმართ არსებობს, მთლიანად ივანიშვილს უკავშირდება.

***– ივანიშვილს რატომ უკავშირდება ყველა ნეგატივი, ის ხომ აღარ არის ხელისუფლებაში?***

– მიუხედავად იმისა, რომ ის წავიდა, მოსახლეობა მაინც მიიჩნევს, რომ ქვეყნის მმართველი ის არის. „ქართული ოცნების“ ყველა ნეგატივი ივანიშვილი შეისრუტა. ეჭვი მეპარება, მისი გააქტიურება სახელისუფლებო გუნდისთვის შედეგის მომტანი იყოს. მის ადგილზე რომ ვიყო, საერთოდ არ გავეკარებოდი საარჩევნო კამპანიას და კვირიკაშვილს ვაქცევდი მთავარ ლიდერად.

***– ახლა მთავარ ლიდერობას ივანიშვილი ითავსებს?***

– ის ამბობს, რომ აქვს ჭარბი ნდობა და ამ ჭარბი ნდობით აპირებს, მოსახლეობა დაარწმუნოს, რომ „ოცნებას“ კიდევ ერთხელ დაუჭირონ მხარი. როგორც ჩანს, ის ფიქრობს, რომ სხვა ლიდერები ხალხის დარწმუნებას ვერ შეძლებენ. ამის გაკეთებას ვეღარც ის მოახერხებს, რადგან საუბრები მის მიმართ ჭარბ ნდობაზე გადაჭარბებულია. 2012 წელს მას ნამდვილად ჰქონდა ჭარბი ნდობა, მაგრამ ახლა მის მიმართ იმედგაცრუება ბევრად მეტია.



***– მოქალაქეებთან შეხვედრებს რომ გამართავს, ეს გასაგებია, მაგრამ საინტერესოა, რა სტატუსით მართავს ის პრესკონფერენციებს?***

– ეგ კითხვა მეც დავსვი. მეც დავინტერესდი, რა სტატუსით ხვდება მედიას, მაგრამ პრესკონფერენციის ჩატარებას ვერავის აუკრძალავ. იტყვის, რიგითი მოქალაქე ვარ, ვატარებ პრესკონფერენციას და თუ ჟურნალისტებს გაინტერესებთ, მოდითო. ჟურნალისტებიც მიდიან. მერე მისი განცხადებები საყოველთაო განხილვის თემა ხდება, რაც ძალიან მოსწონს ივანიშვილს. მის მიმართ ამხელა ინტერესი რომ არსებობს, აშკარაა, რომ ამ ქვეყანაში ისაა მთავარი.

***– სტატუსებზე ვსაუბრობთ და სხვა სტატუსზეც ვისაუბროთ. მისი წინა პრესკონფერენციის თემა თქვენი ფეისბუქ-სტატუსები იყო.***

– ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა ჩემს სტატუსებს განიხილავს. ამ დროს ის ამბობს, რომ პრესას და ტელევიზიას არ ეცნობა და მასთან შემოაქვთ ამოკრეფილი ნაწილები. ეტყობა, ფეისბუქში აქტიური ტიპების სტატუსებიც შეაქვთ. ადრე ჩემი სტატუსების მიმართ ასეთი აგრესიული არ იყო, ახლა ძალიან გაღიზიანებული საუბრობდა ჩემზე.

***– ამის მიზეზი რა არის?***

– ალბათ ის, რომ ოპოზიციურ პარტიაში წავედი. ჩემთვის დიდი პატივია, თუ ჩემი სტატუსებით და პოსტებით ვინმე ინტერესდება.

***– რამდენიმე დღის წინ „სახელმწიფო ხალხისათვის“ მისმა ერთ-ერთმა ლიდერმა და დამფუძნებელმა ირაკლი გურჩიანმა დატოვა. რა გახდა მისი წასვლის მიზეზი?***

– პარტიაში სულ ახლახან მოვედი და გურჩიანის კარგად გაცნობაც კი ვერ მოვახერხე. ვიცი, რომ მან პაატა ბურჭულაძესთან ერთად დააფუძნა ეს პარტია. მისი წასვლის მიზეზები ჩემთვის ცნობილი არ არის. ამიტომ ვერაფერს ვიტყვი, მით უმეტეს, რომ ადამიანს წესიერად არც კი ვიცნობდი. დეტალები თავად გურჩიანმა და პაატამ იციან.

***– თქვენმა პარტიამ რუსთავი 2-ის დასაცავად მზადყოფნა გამოაცხადა და ამან სერიოზული გაღიზიანება გამოიწვია. ამის პარალელურად სოციალურ ქსელებში გამოქვეყნდა ფოტო, სადაც პაატა ბურჭულაძე იმ ადამიანთან ერთად არის გადაღებული, რომელიც წლების წინ ტელეკომპანიაში შეიჭრა. როგორც ამბობენ, ის თქვენი პარტიის წევრია.***

– ეს ფოტო მეც ვნახე, ის ერთ-ერთმა ჟურნალისტმა გამოაქვეყნა. ეს ინფორმაცია გადასამოწმებელია. ამიტომ ამ ეტაპზე ვერაფერს გეტყვით. ბოლო ხანებში ჩვენზე იმდენი სიბინძურე ვრცელდება, რომ ხელაღებით ვერაფერს დავიჯერებ.

ჩვენ მიმართ აგრესია ყოველდღე იზრდება, რასაც ერთ ახსნას ვუძებნი – მათ ჩვენი შეეშინდათ. ჩვენი პარტია ჯერ ბოლომდე არ არის ჩამოყალიბებული და აირაის გამოკითხვებით ძალიან მაღალი რეიტინგი ჰქონდა. კი ამბობენ, არ ვენდობითო, მაგრამ მათი რეაქცია იმაზე მეტყველებს, რომ ენდობიან სოციოლოგიურ კვლევებს.

„ქართული ოცნება“ ცდილობს, ნაციონალური მოძრაობის ყველა სიბინძურე გადმოიღოს. თავის დროზე, ივანიშვილი რომ შემოვიდა პოლიტიკაში, ნაციონალებმა პუტინის იარლიყი მიაწებეს, ახლა იგივეს აკეთებენ მეოცნებეები და ჩვენ ვიღაცების სატელიტობას გვაბრალებენ.

***– რეიტინგი რომ გაქვთ და ბოლომდე არ ხართ ჩამოყალიბებული, ბევრი ბალასტი ხომ არ მოიყრის თქვენ გარშემო თავს?***

– ამ პრობლემის წინაშე ნამდვილად დავდგებით. არჩევნებამდე 4 თვეც აღარ არის დარჩენილი და ამ დროში უნდა მოვასწროთ პარტიის აშენება. პარტიის აშენება არ არის ადვილი საქმე. განსაკუთრებით რთულად არის საქმე რეგიონებში, იქ საკმაოდ მწირი არჩევანია.

***– საარჩევნო სიის ფორმირებასთან დაკავშირებით რა ხდება და მაჟორიტარობის კანდიდატები შეარჩიეთ თუ არა?***

– ამისთვის ჯერ არ მოგვიცლია. პარტია ჯერ კიდევ რეგისტრაციის პროცესშია. სარეგისტრაციო დოკუმენტაცია შეტანილი გვაქვს და საბოლოო პასუხს ველოდებით. ამ ეტაპზე პროგრამას და მთავარ მესიჯებს ვამუშავებთ. მაჟორიტარები და სია მოგვიანებით იქნება.

***– წარმოშობით ბათუმიდან ხართ და იქ ხომ არ აპირებთ მაჟორიტარად კენჭისყრას?***

– ამაზე ჯერ ვერაფერს გეტყვით. შესაძლოა, მანდ ვიყარო კენჭი, შესაძლოა, თბილისის რომელიმე რაიონში.

# სუს-ის ანტიკორუფციულმა სააგენტომ ქრთამის აღების ფაქტზე ერთი პირი დააკავა

სახელწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ქრთამის აღების ფაქტზე ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი, საბიუჯეტო-საფინანსო, ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარე თემურ პლაჭიაშვილი დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ თემურ პლაჭიაშვილმა კანონით გათვალისწინებული პროცედურების გვერდის ავლით, სახელმწიფოს კუთვნილი 150 ჰა მიწის ფართობის დროებით სარგებლობაში გადაცემისა და შემდგომი მფარველობის სანაცვლოდ მოქალაქეს ქრთამის სახით მოსთხოვა და გამოართვა 3.000 ლარი.

გამოძიება ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც სასჯელის სახით 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს).

გამოძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილებით, თემურ პლაჭიაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

# მანანა კობახიძის ძმას, თედო კობახიძეს, ფულის გამოძალვაში ადანაშაულებენ

## სევდია უგრეხელიძე: „ეს არის სირცხვილი“

შორენა მარსაგიშვილი

რამდენიმე დღის წინ თბილისის საკრებულოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ, თედო კობახიძემ, საგანგებო განცხადება გაავრცელა. მან საზოგადოებას ამცნო, რომ მის წინააღმდეგ ბინძური ცილისწამების აგორება იგეგმებოდა.

განცხადების გავრცელებიდან მოკლე ხანში, რუსთავი 2-ის ეთერში გავიდა სიუჟეტი, სადაც კობახიძე საკრებულოს ყოფილმა თანამშრომელმა ფულის გამოძალვაში დაადანაშაულა.

ბადრი ჯავახიშვილმა ექსკლუზიური ინტერვიუ პოსტსკრიპტუმს მისცა, სადაც ყვება, რომ თედო კობახიძემ მას პარტია „ქართულ ოცნებაში“ მუშაობა ადგილობრივი არჩევნების წინ დააწყებინა, თუმცა პირველივე ხელფასის აღების შემდეგ, გასამრჯელოდან წილი მოსთხოვა. ჯავახიშვილი ამტკიცებს, რომ ყველა ის პირი, ვინც პარტიაში თედო კობახიძემ დაასაქმა, ვალდებული იყო, მისთვის ხელფასის ნაწილი მიეცა.

როგორც ჯავახიშვილი ყვება, არჩევნების შემდეგ თედო კობახიძემ ის საკრებულოში დაასაქმა. სანაცვლოდ ჯავახიშვილს ყოველი თვის ხელფასიდან 35% თედო კობახიძის საბანკო ანგარიშზე უნდა ჩაერიცხა.

ბადრი ჯავახიშვილი თედო კობახიძის კლასელი და მისი დის, მანანა კობახიძის, მოსწავლეა. მან პოსტსკრიპტუმს კობახიძის ანგარიშზე ფულის შეტანის დამადასტურებელი დოკუმენტებიც წარუდგინა, რომელშიც თანხის გადარიცხვას ახსენებენ.

გარკვეული პერიოდის შემდეგ ჯავახიშვილმა თედო კობახიძეს თანხის გადახდაზე უარი განუცხადა, რასაც მისი სამსახურიდან დათხოვნა მოჰყვა.

ამ ამბავმა დიდი გამოხმაურება გამოიწვია. საკრებულოში საქმის შესწავლას აპირებენ. თავად თედო კობახიძე მის მიმართ გამოთქმულ ბრალდებებს წინასაარჩევნო პერიოდთან დაკავშირებით დადგმულ შოუს უწოდებს.

გამოძიებას ისიც ითხოვს და როგორც ამბობს, უკვე მიმართა სათანადო ორგანოებს. მისი განმარტებით, საქმეს ვაკე-საბურთალოს შს სამმართველო იძიებს.

– აქვთ სურვილი, რომ დაიდგას რაღაც ახალი შოუ წინასაარჩევნო პერიოდთან დაკავშირებით, თუმცა აქვე მინდა განვაცხადო, რომ მე აღნიშნულ საკითხს უკვე მივეცი სამართლებრივი რეაგირება, საქმეს იძიებს შსს-ს შესაბამისი უწყება. მე ბადრის სისულელეზე არ ვაპირებ კომენტარების კეთებას, მიმდინარეობს გამოძიება, აღნიშნულ საქმეს იძიებს ვაკე-საბურთალოს, შს სამინისტროს მთავარი სამმართველო, – განაცხადა კობახიძემ.



### დეპუტატის საქმეს საკრებულო შეისწავლის

შეფასებების გაკეთება უჭირს დედაქალაქის მერს დავით ნარმანიას. მისი თქმით,

ეს საკითხი შესწავლილი უნდა იყოს შესაბამისი ორგანოების მხრიდან და შეფასებები ამის მერე უნდა გაკეთდეს.

– ეს სიუჟეტი თავადაც ვნახე და ვფიქრობ, გარკვეული საკითხები დამატებით უნდა იქნას შესწავლილი და გამოკვლეული შესაბამისი ორგანოების მხრიდან. ასე რომ, უმჯობესია, რომ შემდეგ გაკეთდეს ამასთან დაკავშირებით კომენტარი. საკითხს სჭირდება სამართლებრივად შესწავლა და შეფასების გაკეთება, – განაცხადა ნარმანიამ.

საკითხის შესწავლას ითხოვს დედაქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი.

მისი თქმით, თუ მოკვლევა დაადასტურებს დეპუტატ თედო კობახიძის მხრიდან თანხის გამოძალვის ფაქტებს, საკრებულოს რეაგირება სათანადო იქნება.

ალიბეგაშვილი პირადად დაუკავშირდა თედო კობახიძეს, რომელმაც ბადრი ჯავახიშვილის ბრალდებებს ცილისწამება უწოდა.

– ჩემთვის რამდენადაც ცნობილია, ამ საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობს კვლევა. ბუნებრივია, ჩვენ უნდა დაველოდოთ გარკვეულ დასკვნებს და აქედან გამომდინარე, ჩვენს შეხედულებას უფრო ჩამოვაყალიბებთ. მქონდა მასთან დაკავშირებით საუბარი. ჰქონდა ის ტექსტი, რომ ეს არის მისი და მისი დის წინააღმდეგ მიმართული შანტაჟი და, ბუნებრივია, კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ ჩვენ ძიებას უნდა დაველოდოთ. ბუნებრივია, ჩვენ დაველოდებით გარკვეულ დასკვნებს და, თავისთავად, რეაგირება იქნება, – განუცხადა რუსთავი 2-ს გიორგი ალიბეგაშვილმა.

უფრო მკაცრია თავის შეფასებებში საკრებულოს ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე სევდია უგრეხელიძე. ის მიიჩნევს, რომ სანამ საკრებულოს იურიდიული კომისიის ხელმძღვანელი თედო კობახიძე არ დაამტკიცებს, რომ არ ყოფილა გარეული შესაძლო კორუფციულ ფაქტებში, მანამდე ის თანამდებობას უნდა ჩამოსცილდეს.

– ასეთი ადამიანების თანამდებობებზე ყოფნა თავისთავად მიუთითებს, რომ ეს ოჯახური კლანები მოქმედებენ აბსოლუტურად დაუსჯელად. ამავე დროს, მათი თაღლითობის მასშტაბები ფართოდან სულ დაბალ დონემდე არის ჩამოსული და 300-400 ლარის აღებაზეც კი არ უკადრისობენ. სანამ რამე გაირკვევა და სანამ დაამტკიცებს თედო კობახიძე თავის სიმართლეს და ძალიან მეეჭვება, რომ ეს ოდესმე მოხდეს, მანამ იგი აუცილებლად უნდა იქნეს ჩამოცილებული თანამდებობას. ეს არის სირცხვილი, – აცხადებს სევდია უგრეხელიძე.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მამუკა კუდავა: „ვიზალიბერალიზაციას საქართველო აუცილებლად მიიღებს“

ნათია ხურცილავა

ახალი პოლიტიკური ცენტრის გირჩის წევრი, ყოფილი ელჩი საფრანგეთში **მამუკა კუდავა** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ვიზალიბერალიზაციის პროცესზე საუბრობს.

***— ბატონო მამუკა, ევროკავშირის ქვეყნებს შორის კონსენსუსი არ არის მიღწეული, რომ ვიზალიბერალიზაცია მოგვცენ. გერმანია, იტალია და საფრანგეთი, სადაც თქვენ ელჩი იყავით, თანახმა არ არიან, რომ საქართველოს მოქალაქეებს უვიზო მიმოსვლის უფლება მისცენ. რეალურად რა არის შეყოვნების მიზეზი?***

— ევროკავშირის მხრიდან პოლიტიკური გადაწყვეტილება არის მისაღები. ევროკომისია არის ერთი ეტაპი, რომელიც კარგად გავიარეთ, რადგანაც ტექნიკური ვალდებულებები შევასრულეთ. შემდეგი ეტაპი არის ევროკავშირის საბჭო ანუ სახელმწიფოების მეთაურების დონეზე უნდა მოხდეს გადაწყვეტილების მიღება. ყველა ქვეყანამ, ვინც შენგენის ზონაში არის, ბრიტანეთისა და ირლანდიის გარდა, უნდა მიიღოს პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომ მწვანე შუქი აგვინთონ.

როგორც იტყვიან, ჯერჯერობით აქ ვართ გაჭედილი. ევროპარლამენტი არის ბოლო ეტაპი, სადაც კენჭისყრა გაიმართება და მიღებულ გადაწყვეტილებას კენჭისყრა დაადასტურებს.

***— რა შეგიძლიათ გვითხრათ სკეპტიკოს ქვეყნებთან დაკავშირებით, რატომ აქვთ მათ ასეთი შეუვალი პოზიცია? კონკრეტული მიზეზები რა არის?***

— განსაკუთრებით გერმანია, მართალია საფრანგეთიც და იტალიაც არიან ამ რიგში, რომლებიც ამბობენ, რომ ამ ეტაპზე იქნებ უკეთესია გადავდოთ, რასაც აბამენ ე.წ. შეჩერების მექანიზმის ამოქმედებას.

ავხსნი თუ რას გულისხმობს „შეჩერების“ მექანიზმი: თუ საქართველო ან სხვა რომელიმე ნებისმიერი ქვეყანა ბევრ მიგრანტს გააგზავნის შენგენის ზონაში და ეს გამოიწვევს გარკვეულ პრობლემებს იმ ქვეყნებისთვის, მაშინ ისინი იტოვებენ უფლებას, რომ მიგრაციის პროცესი შეზღუდონ. ახლა საუბარია, რომ სწორედ ეს „შეჩერების“ მექანიზმი უნდა შევიდეს ძალაში ანუ ამოქმედდეს.

***— თუმცა, ჩვენ, როგორც სახელმწიფო, ხომ ვიღებთ ვალდებულებებს მიგრაციის პროცესზე?***

— დიახ, ვიღებთ, მაგრამ მაინც თავს იზღვევენ. ერთი, მიგრანტთა კრიზისის გამო, რომელიც რეალურად დაატყდა თავს ევროპას, არიან შეშინებულები და მეორე, ასევე რეალური პრობლემა, რომელიც აქვს ევროკავშირს, არის ტერორიზმი. ტერორიზმის საფრთხე ყოველდღიურად მატულობს, ბოლო ტერაქტები საფრანგეთსა და ბელგიაში სწორედ ამის გამოვლენა იყო. ამას კიდევ ერთი საკითხი ემატება, თავად ევროკავშირის შიგნით ქვეყნებს შორის სხვადასხვა საკითხების გაცვლა.

***— რას გულისხმობთ?***

— საუბარია დიპლომატიურ თანამშრომლობაზე, მაგალითად, უკრაინის სანქციები რუსეთის წინააღმდეგ, ასევე კოსოვოს, თურქეთის, უკრაინის უვიზო მიმოსვლა და ა.შ. სხვადასხვა ქვეყნებს სხვადასხვა პოზიციები აქვთ ამ საკითხებზე, ახლა ამ თემაზე დიპლომატიური მოლაპარაკებები აქტიურ ფაზაშია.



***— ევროსაბჭოს პრეზიდენტმა, დონალდ ტუსკმა კორცხელის ინციდენტს შემაშფოთებელი უწოდა, ოქტომბრის არჩევნები, საშინაო პოლიტიკა იქონიებს გავლენას?***

— პირდაპირ არ არის დაკავშირებული, მაგრამ ცხადია, რომ ყურადღების მიღმა არ იქნება დატოვებული. საქართველოდან ნებისმიერი ნეგატივი, რომელიც წავა, იქნება მედიის თავისუფლება, საარჩევნო გარემოს შეზღუდვა, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, პოლიტიკურ ოპოზიციურ ძალებზე ზეწოლა და ა.შ. გასაგებია, რომ დადებით გავლენას ვერ მოახდენს და შეიძლება ისეთივე არგუმენტად გამოიყენონ იმ სკეპტიკოსმა ქვეყნებმა, როგორი წარმატებითაც გერმანია იყენებს ჩვენს კრიმინალებსა და მათ ისტორიებს. ამიტომ ახალი პრობლემა არ უნდა დავამატოთ.

***— რამდენად არის მოსალოდნელი, რომ საერთოდ უარი მივიღოთ, მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის ლიდერები გვეუბნებიან, რომ ეს გამორიცხულია?***

— ეს მართლაც გამორიცხულია. უარზე არ არის საუბარი. ვიზალიბერალიზაციას საქართველო აუცილებლად მიიღებს, უბრალოდ, ჩვენ გვინდოდა, რომ ეს ზაფხულში მომხდარიყო. ვხედავთ, რომ პროცესი დროში იჭიმება.

***— გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრმა ქართველ კრიმინალებზე გააკეთა განცხადება. რამდენად შეიძლება მსგავს ფაქტებსაც უკავშირდებოდეს პროცესის გაჭიანურება და ეს მათი მხრიდან არგუმენტი იყოს?***

— რა თქმა უნდა, კრიმინალური ფაქტებიც არის არგუმენტად გამოყენებული. თუმცა, ეს სტატისტიკა საქართველოსთან დაკავშირებით განსაკუთრებული არ არის სხვა ქვეყნებთან შედარებით. ჩვენ არ ვართ ყველაზე კრიმინალური ქვეყანა, ამდენად, საქართველოდან კრიმინალის მაღალი მაჩვენებლის გადინება ნამდვილად არ ხდება ევროპაში. ეს უფრო არგუმენტია, ვიდრე რეალობა. ვერ იტყვის ვერც გერმანია და ვერც ევროკავშირის სხვა ქვეყანა, რომ რეალური მიზეზი კრიმინალია. ბუნებრივია, კრიმინალი აწუხებს ყველა ქვეყანას და ეს არის პრობლემა, მაგრამ არა ისეთი, რომ ამაზე იყოს აგებული ევროკავშირის პოზიცია.

იყო ფაქტები ევროპაში, როდესაც არაერთი დაჯგუფება იქნა აღმოჩენილი და განიარაღებული და ეს მერე ცუდ ასახვას ჰპოვებდა პრესაში. ჩვენი ხელისუფლების დიდი ბრალი სწორედ ისაა, რომ მძლავრი საინფორმაციო, დიპლომატიური კამპანია უნდა ეწარმოებინათ, თანაც ძალიან აქტიურად ქვეყნისთვის დადებითი იმიჯის შექმნის კუთხით. სამი-ოთხი სტატიაც რომ დაიწეროს ქართველ კრიმინალებზე ევროპულ პრესაში, მას პასუხი აუცილებლად უნდა გაეცეს. ამ დროს აუცილებელია ხელისუფლება ოფიციალურად გამოეხმაუროს ამ სტატიებს, საელჩოები გამოეხმაურონ და გააბათილონ, დააბალანსონ, რომ კრიმინალი არ არის მხოლოდ ქართული მოვლენა და ეს არის ზოგადად ყველა საზოგადოების პრობლემა.

ასევე აუცილებელია წარმოაჩინონ ის სტატისტიკა, სამუშაოები, რაც კეთდება ჩვენთან ქვეყნის შიგნით ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია ქართველი ემიგრანტების დადებითად წარმოჩენა. ჩვენ გვყავს ისეთი ემიგრანტები, რომლებიც შენაძენია ამა თუ იმ ქვეყნისთვის, მათი დადებითი ქეისები უნდა წარმოვაჩინოთ და ა.შ.

***— თქვენ ამბობთ, რომ ქვეყნის ლობისტებთან მუშაობა აუცილებელია?***

— დიახ, ეს საჭირო და მნიშვნელოვანია.

***— ლობისტების მიმართ ხელისუფლების დამოკიდებულება წინა ხელისუფლების მიდგომისგან განსხვავდება.***

— ამ ხელისუფლებამ ლობისტები უარყო, არ გვჭირდებაო, მაგრამ მერე მაინც დაიქირავა, მაგრამ არ ვიცი, რამდენად არიან ეფექტურები და რომელ ქვეყნებში გვყავს. ლობისტები საჭიროა, ჩვენნაირ პატარა ქვეყანას ძალიან აქტიური და კარგი ქსელების მქონე ლობისტები, კონსულტანტები აუცილებლად სჭირდება იმისთვის, რომ უკეთესად მივაწვდინოთ ხმა დანარჩენ სამყაროს.

# თეა წულუკიანი: „არის თუ არა საკონსტიტუციო სასამართლო ნაციონალური მოძრაობის სამსახურში?“

## „საკონსტიტუციო სასამართლოსგან პასუხებს ველოდები“

ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიას საკონსტიტუციო სასამართლოს მუშაობასთან დაკავშირებით კითხვები აქვს.

მისი თქმით, დაინტერესებულ საქმეებს დაინტერესებული მოსამართლეები იხილავენ, რაც დაუშვებელია.

**ეკა ბესელია:**

— სასამართლომ უნდა გააკეთოს ყველაფერი, რომ არ დარჩეს ის კითხვები, რაც დღეს გაჩნდა მის მიმართ. კონკრეტული საქმეების მიმართ არსებობს ცალკეული მოსამართლეების დაინტერესება და ეს უკავშირდება პირდაპირ ტელეკომპანია რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორის პირად კონტაქტებს.



ასეთი მიდგომის ნაცვლად, სასამართლომ უნდა აჩვენოს, რომ ერთნაირი სტანდარტით ხელმძღვანელობს ყველა საქმის განხილვის დროს. ეს სტანდარტი არის მიუკერძოებლობა, სწრაფი მართლმსაჯულება, სამართლიანი მართლმსაჯულება და ყოველგვარი პოლიტიკური გავლენების გარეშე თავისუფალი გადაწყვეტილებების მიღება.

* * *

საკონსტიტუციო სასამართლოსთან დაკავშირებით კითხვები აქვს იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანსაც.

**აი, რას ამბობს თეა წულუკიანი:**

— მინდა დავსვა კითხვები საკონსტიტუციო სასამართლოსთან დაკავშირებით. ვსვამ პროცედურულ კითხვებს. მოვითხოვ პასუხებს და ამ პასუხებმა უნდა აჩვენოს საზოგადოებას, არის თუ არა საკონსტიტუციო სასამართლო, მისი თავმჯდომარე და პირველი კოლეგია პოლიტიკური თამაშის ინსტრუმენტი, არის თუ არა ეს ინსტიტუტი ამის გამო ნაციონალური მოძრაობის სამსახურში.

დავსვი კითხვები და კვლავ ვიმეორებ. რატომ ირღვევა რიგითობის პრინციპი — ჩემი აზრით, ეს პრინციპი ირღვევა, რადგან თუ ავიღებთ, მაგალითად, რუსთავი 2-ის 7 საკონსტიტუციო სარჩელს, შვიდივე განიხილა პირველმა კოლეგიამ და არ არის პასუხი იმაზე, რატომ უნდა განეხილა პირველ კოლეგიას.

რიგითობა ირღვევა, ეს ნიშნავს იმას, რომ ალბათ პრობლემა შეიძლება ჰქონდეს ასეთი მიკუთვნების დროს საქმის ობიექტურად გადაწყვეტას და პრობლემა შეიძლება ჰქონდეს მთლიანად საკონსტიტუციო სასამართლოს მიკერძოებულობის მხრივ მართლმსაჯულების განხორციელებისას.

კითხვები მაქვს ვადებთან დაკავშირებით.

რიგითი მოქალაქეები ჩივიან და 2013-2014-2015 წლებიდან ელოდებიან ან პასუხს, ან მიიღება თუ არა მათი სარჩელი განსახილველად. ეს ხდება მაშინ, როდესაც რუსთავი 2-ის დავებს, მაგალითად, 6-7 დღეში იხილავს საკონსტიტუციო სასამართლო, იგივე პირველი კოლეგია და რამდენიმე დღეში აჩერებს ხოლმე ამა თუ იმ ნორმას.

ასევე, მაქვს კითხვები არსებით განხილვასთან დაკავშირებით.

როდესაც, მაგალითად, ავტორი არის ამა თუ იმ საქმის ბატონი უგულავა, მაშინ ხდება მისი არსებითად განხილვა 3-4 თვეში მაქსიმუმ. ჩვენ გვქონდა შემთხვევა, როდესაც 1 დღეში გადაწყვიტა კაბელების საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლომ მის წინაშე დაყენებული საკითხი.

ძალიან კარგია სწრაფი მართლმსაჯულება, როდესაც პატიმრები არიან სახეზე, მაგრამ როდესაც პატიმრები არიან სახეზე და ავტორი არ არის პოლიტიკური პარტია, ასევე მაქვს კითხვა, რატომ იჩაგრებიან სხვები.

კითხვები მაქვს პოლიტიკასთან დაკავშირებით — რა პოლიტიკას ახორციელებს საკონსტიტუციო სასამართლო, როცა საკმარისია, საქმის ავტორი იყოს ნაციონალური მოძრაობა ან პოლიტიკურად სენსიტიური საქმე იყოს, ან რუსთავი 2 იყოს, პირველი კოლეგია რატომ იხილავს საქმეს მუდმივად, ეს ის ხალხია, რომლებიც არიან ბატონი გვარამიას პოლიტიკური ოჯახის წევრები.

* * *

გუშინ, 13 ივნისს, იუსტიციის სამინისტრომ მინისტრის საგანგებო განცხადება გაავრცელა.

— საკონსტიტუციო სასამართლომ 2016 წლის 28 მაისსა და 10 ივნისს ოფიციალური განცხადებები გაავრცელა და საქართველოს იუსტიციის მინისტრი ცილისწამებაში, საზოგადოების შეცდომაში შეყვანასა და სხვა ამგვარში დაადანაშაულა.

საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თითქოს საქმეები კოლეგიებს შორის რიგითობის პრინციპის სრული დაცვით ნაწილდება, როგორც ამას ითვალისწინებს კანონი.

მე, როგორც იუსტიციის მინისტრი და ამ ქვეყნის მოქალაქე, ვთვლი, რომ პრაქტიკაში კანონით დადგენილი ეს წესი მრავალჯერ დაირღვა. ამაში დასარწმუნებლად თავად საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის ანალიზიც კმარა, — აცხადებს თეა წულუკიანი.

მაგალითად, ტელეკომპანია რუსთავი 2-ის (იურიდიული პირის სპეციფიკიდან გამომდინარე, რიგ შემთხვევებში, სასამართლოში წარდგენილი სარჩელის სუბიექტი არის შპს ტელეკომპანია საქართველო) ყველა კონსტიტუციური სარჩელი (675, 678, 679, 681, 720, 721, 726) განსახილველად საკონსტიტუციო სასამართლოს ერთსა და იმავე - პირველ კოლეგიას დაეწერა.

— მე დავსვი ლეგიტიმური კითხვა, თუ რატომ მოხდა ასე, რისი უფლებაც ნამდვილად მაქვს. დღემდე პასუხი არ არის. ერთადერთი გამონაკლისი, რომელზეც განცხადებაში მიუთითებს საკონსტიტუციო სასამართლო, იყო მხოლოდ 719 კონსტიტუციური სარჩელი, რომელიც მხოლოდ იმის გამო, რომ გასაჩივრებული იყო „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის ნორმა (ყველა ასეთი შემთხვევა საკონსტიტუციო სასამართლომ ჩათვალა განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმედ და, შესაბამისად, პლენუმის განსჯადად), განიხილა სასამართლოს პლენუმმა, — აღნიშნავს იუსტიციის მინისტრი.

მისი აზრით, ზემოაღნიშნულ ყველა დანარჩენ სარჩელში სადავოდ იყო გამხდარი სხვადასხვა კანონის სხვადასხვა, ერთმანეთთან კავშირში არმყოფი ნორმები.

— ამ სარჩელებს მხოლოდ ერთი ჰქონდათ საერთო —-მათი ავტორი რუსთავი 2. ეს კი საქმეების ერთსა და იმავე კოლეგიისთვის მიკუთვნების საფუძველი არ უნდა გამხდარიყო, არამედ პირიქით, — ამბობს თეა წულუკიანი.

როდესაც ერთი სუბიექტის სარჩელს ყოველთვის ერთი და იგივე კოლეგია განიხილავს და თან ისე, რომ რიგითობის მიხედვით მას მოცემული სარჩელის განხილვა არ ეკუთვნის, ჩნდება ლეგიტიმური კითხვა როგორც საქმეთა განაწილების, ისე მათი გადაწყვეტის ობიექტურობასთან დაკავშირებით.

— კითხვის დასმა კი თურმე თავდასხმის მცდელობა ყოფილა დემოკრატიულ საზოგადოებაში, რომლის უკანასკნელ ბასტიონადაც საკონსტიტუციო სასამართლოს საკუთარი თავი მიაჩნია ჩვენს ქვეყანაში, — აღნიშნავს იუსტიციის მინისტრი.

მას უჩნდება კითხვები პროცედურასა და ვადებთან დაკავშირებით. კერძოდ, რუსთავი 2-ისა და ტელეკომპანია საქართველოს ყველა სარჩელთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლომ შესაშურად მოკლე ვადაში დაასრულა საქმის განხილვა და შესაბამისი სამართლებრივი შედეგიც დააყენა.

— მაგალითად, 675 სარჩელი არსებითად განსახილველად მიიღო (სადავო ნორმა შეაჩერა) სარჩელით სასამართლოსათვის მიმართვიდან 6 დღეში, ხოლო 681 სარჩელზე იგივე სამართლებრივი შედეგები დააყენა 7 დღეში, — მიუთითებს თეა წულუკიანი.

მისი თქმით, ამგვარი სწრაფი მართლმსაჯულება მისასალმებელია, მაგრამ არა მაშინ, როცა ამას პოლიტიკური მოტივი უდევს საფუძვლად.

— საკონსტიტუციო სასამართლო განმწესრიგებელი სხდომის გამართვას, როგორც წესი, ანდომებს თვეებს, ხოლო რიგ შემთხვევაში —-წლებსაც, — აცხადებს იუსტიციის მინისტრი.

მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლოში 604 სარჩელია შესული 2014 წლის ივლისში, 628 სარჩელი კი —-2015 წლის თებერვალში და მათი განხილვაში მიღების საკითხი ჯერაც არ არის გადაწყვეტილი.

— ან სასამართლოს სტატისტიკაა მცდარი და სწორედ მას შეჰყავს შეცდომაში საზოგადოება. მაგრამ რა ვუყოთ, რომ ასეთი კიდევ ბევრი მაგალითის მოყვანაა შესაძლებელი? — კითხულობს თეა წულუკიანი.

არსებობს საქმეები, რომლებშიც მოქალაქეები თუ საერთო სასამართლოები სადავოდ ხდიან ისეთი ნორმების კონსტიტუციურობას, რომლებიც საფუძვლად უდევს ადამიანის თავისუფლების ხანმოკლე თუ ხანგრძლივ შეზღუდვას.

— საინტერესოა, რა ახსნა ექნება საკონსტიტუციო სასამართლოს იმასთან დაკავშირებით,

**გაგრძელება მე-4 გვერდზე**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# გელა ნიკოლაიშვილი: „ფარული კადრები მაშინვე უნდა დაიბლოკოს“

ნონა ცაბაძე

ფარული ჩანაწერები აქტუალურობას კვლავაც არ კარგავს. 12 ივნისს სოციალურ ქსელში კიდევ ერთხელ აიტვირთა პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები. შეიძლება თუ არა პრევენციული ღონისძიების გატარება? იკვეთება თუ არა ხელისუფლების ბრალეულობა? „ახალი თაობის“ ამ და სხვა კითხვებს ადვოკატი, უფლებადამცველი გელა ნიკოლაიშვილი პასუხობს.

***— ბატონო გელა, პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გამომზეურებით საზოგადოება დაიღალა, თუმცა ამას ყოველთვის დიდი აჟიოტაჟი მოჰყვება ხოლმე. რა დატვირთვა აქვს ამ ჩანაწერებს? არის მექანიზმი ამის აღსაკვეთად?***

— ვიდრე არსებობს ასეთი ჩანაწერების ასლები და ამაში ეჭვი არავის ეპარება, რომ ფაილები არსებობს, რაც უნდა კანონის გამკაცრებას ჰქონდეს ადგილი, არსებობს ერთადერთი გზა.

***— და რა არის ეს გზა?***

— ის, რომ როგორც კი ეს კადრები გავრცელდება, იმ წუთში დაიბლოკოს და ამისთვის რამდენი ადამიანიც იქნება საჭირო, მუდმივად უნდა იყოს მომზადებული ატვირთული მასალის დასაბლოკად.

***— კვირის მასალა დიდხანს არ დაბლოკილა. რატომ?***

— მე ვფიქრობ, რომ იყო სწრაფი რეაგირება, იმიტომ, რომ როგორც მე გავიგე, ორ ადამიანზე მეტმა ვერ მოასწრო ამის ნახვა. როგორც მე ვიცი, რამდენიმე წამი გავიდა ეს კადრები და შემდეგ უკვე დაიბლოკა. თუ ეს არ მომხდარა, ეს არის შეცდომა და შეიძლება დანაშაულიც სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან. ვის გვერდზე, ვის კომპიუტერშიც ეს გამოჩნდება, ისინიც ვალდებულნი არიან, შეატყობინონ შესაბამის ორგანოებს. სხვა საშუალება არ არსებობს.

***— ძალიან ხშირად ერთი და იგივე ადამიანის ფეისბუქგვერდზე იტვირთება აღნიშნული ხასიათის მასალები. თუნდაც ელისო კილაძის, რატომ, ეს რა მიზანს ემსახურება? რა ნიშნით არის ის შერჩეული?***

— როგორც ჩანს, იმ ნიშნით არჩევენ, რომ ის სკანდალური ინფორმაციებისა და გახმაურებული ამბების გავრცელებაშია შემჩნეული და, როგორც ჩანს, მათი გათვლაა იმაზე, რომ ეს ინფორმაცია სკანდალურია და ეს პიროვნება ამას აუცილებლად გაავრცელებს. თუმცა ბევრი ფაქტი იყო იმისა, რომ ელისომ ეს არ გაავრცელა. მას არათუ ჩაუგდეს, არამედ პირდაპირ ოფისში მიუტანეს და ის ძალიან სწორად მოიქცა, როდესაც ეს მიიტანა პროკურატურაში. და რატომ აქვთ იმედი, რომ სხვა შემთხვევაში ის გაავრცელებს, მე არ ვიცი.

***— მოვისმინეთ განცხადებები, რომ უნდა გადადგეს მთავარი პროკურორი და ძალოვანი უწყების მინისტრები. ეს უშველის საქმეს?***



— ვინც მაგას ამბობს, დაასახელოს ადამიანი, ან თავისი თავი, ან ვინმე კონკრეტული პიროვნება, რომელიც გარანტირებულად იტყვის, რომ მე თუ ვიქნები მთავარი პროკურორის ადგილას, მაშინ მსგავსი შემთხვევები გამოირიცხება. თუ ასეთი ტექნიკური საშუალება არსებობს და ვინმეს ეს აქვს, მე მოვუწოდებდი, რომ ექსპერიმენტის სახით, ერთი კვირით თუ ერთი თვით ეს გააკეთოს და დაინახავს, რომ ეს არის სრული აბსურდი. ეს ადამიანსა და პიროვნებაზე არ არის დამოკიდებული. არავის შეუძლია ამის შეჩერება, გინდ შოთაძე იყოს და გინდა სხვა ნებისმიერი!

***— ფიქრობთ, რომ ასლი ბევრია და ის რიგითი თუ დაინტერესებული ადამიანების ხელშია?***

— უფრო მეტად ვვარაუდობ, რომ ეს დაინტერესებული ადამიანების ხელშია, თუმცა ისიც არ არის გამორიცხული, რომ რიგითი ადამიანების ხელში იყოს. წამები სჭირდება ამ მასალის ფლეშკაზე გადაწერას. 2013 წელს მე პირადად სრულიად რიგითმა ადამიანებმა მითხრეს, რომ ნანახი ჰქონდათ, კონკრეტული ადამიანების გვარებს ასახელებდნენ, მათზე ფარული ჩანაწერები, რომლებიც იყო ინტიმური ხასიათის.

***— გამავრცელებლის პოვნა რთულია?***

— ფაქტობრივად შეუძლებელია! თუ ოპერატიული ინფორმაცია არ აქვთ, ან შემთხვევით არ მოხდა, ისე ვერ გაიგებენ.

***— არჩევნები ახლოვდება, საკმაოდ დაძაბულია პოლიტიკური ფონი. რამდენად ელოდებით კომპრომატების ომს?***

— რა თქმა უნდა, ველოდები.

***— რა ხასიათის იქნება?***

— ის, რასაც ახლა აკეთებენ და ამას კიდევ შეეცდებიან.

***— დღეს ხელისუფლებისკენ იშვერენ თითს, მას ადანაშაულებენ. რამდენად იკვეთება ხელისუფლების როლი ამ სიტუაციაში?***

— თუ გულისხმობთ იმას, რომ ხელისუფლება ამას თვითონ აკეთებს, ხელს უწყობს ამის გავრცელებას, მე არ ვფიქრობ, რომ ეს ხელისუფლების ინტერესში იყოს. თუ გულისხმობთ იმას, რომ ფიზიკურად ის ვერ ახერხებს დაბლოკვას, ამის ბერკეტები მას არ გააჩნია, გარდა იმისა, რომ ატვირთვიდან რამდენიმე წამში დაბლოკოს. თუ მათ ვერ მოახერხეს წამებში დაბლოკვა, მაშინ იქნება ხელისუფლების ბრალი. მე რა ინფორმაციაც მაქვს, ჯერჯერობით ახერხებენ.

***— ბევრი ადანაშაულებს ხელისუფლებას და თქვენც ახსენეთ საუბრისას, რომ კადრები არ უნდა განადგურებულიყო. მაშინ რა უნდა გაკეთებულიყო?***

— მე ვფიქრობ, მასობრივად უნდა ყოფილიყო ნაჩვენები, ოღონდ სახეების დაფარვით და როდესაც ეს ყველასთვის ცნობილი გახდებოდა, ამის მიმართ დაიკარგებოდა ინტერესი. ის ადამიანებიც, ვისაც ეცოდინებოდა, რომ მის მიმართ არსებობს მასალა, თავს შეიკავებდნენ აქტიურობისგან, ან პოლიტიკიდან წავიდოდნენ. ამ მასალების განადგურებას ხელისუფლების შეცდომად მივიჩნევ.

***— როდემდე შეიძლება გაგრძელდეს ასე?***

— ეს გაგრძელდება მანამ, სანამ იქნება კონკრეტული ადამიანების მიმართ ინტერესი და სანამ ის კონკრეტული ადამიანები არიან პოლიტიკაში. ეს თითოეული მათგანის გადასაწყვეტია, ვინც იცის, რომ მასზე ფარული ჩანაწერები არსებობს, უნდა დაფიქრდეს, რამდენად ულირს პოლიტიკაში დარჩენა.

# თეა წულუკიანი: „არის თუ არა საკონსტიტუციო სასამართლო ნაციონალური მოძრაობის სამსახურში?“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

რომ მან 740 (უგულავა) კონსტიტუციური სარჩელის არსებითი განხილვა ჩანიშნა სასამართლოში სარჩელის შესვლიდან 2 თვის ვადაში, 764 (კაბელების საქმე) კონსტიტუციური სარჩელი განსახილველად მიიღო სარჩელის შესვლიდან 1 დღის ვადაში, ე.ი. 1 დღეში საქმე სასამართლოს თავმჯდომარის მიერ გადაეცა კოლეგიას, კოლეგიის თავმჯდომარის მიერ დაეწერა მომხსენებელ მოსამართლეს, მომხსენებელმა მოამზადა პროექტი და მოსამართლეებმა მიიღეს ის.

ამ საქმეებთან დაკავშირებული პატიმრობაში მყოფი პირებისთვის ეს მისასალმებელია, მაგრამ რა დააშავეს სხვებმა, რომელთა ბედის შესახებაც 7 ან მეტი თვის წინ არის შეტანილი კონსტიტუციური სარჩელები ან წარდგინებები? სად არის აქ რიგითობა და მიუკერძოებლობა? – კითხულობს იუსტიციის მინისტრი.

ის ყურადღებით მოისმენს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის არგუმენტს იმასთან დაკავშირებით, თუ რა ნიშნით გამოარჩია მოცემული ორი საქმე და დაიწყო მათი სწრაფი განხილვა მაშინ, როცა სასამართლოს არ გადაუწყვეტია გაცილებით ადრე შესული 15-მდე კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების საკითხი.

– იგივე კითხვები შეიძლება დაისვას საქმის არსებითად გადაწყვეტასთან დაკავშირებით. საქმეებს, რომლებიც შეიძლება იყოს პოლიტიკური დატვირთვის მატარებელი, საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს და წყვეტს მოკლე ვადებში. ამიტომაც ვსვამ ლეგიტიმურ კითხვას, თუ რატომ ხდება ასე, – აცხადებს იუსტიციის მინისტრი.

მაგალითად, 569 კონსტიტუციური სარჩელი (დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ) საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა და გადაწყვიტა 4 თვის ვადაში, 574 კონსტიტუციური სარჩელი (გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ) 3.5 თვის ვადაში, ხოლო 646 კონსტიტუციური სარჩელი (გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ)- 4.5 თვის ვადაში.

– სხვა საქმეების გადაწყვეტას კი 1 და მეტი წელი სჭირდება. 550 კონსტიტუციური სარჩელი სასამართლოში 2013 წლის იანვარში შევიდა, 561 და 568 სარჩელები – 2013 წლის ივლის-დეკემბერში, 570 სარჩელი – 2013 წლის დეკემბერში, 580 სარჩელი – 2014 წლის მარტში, 595 სარჩელი -– 2014 წლის მაისში და ა.შ. აღნიშნულ სარჩელებთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები დღემდე არ მიუღია, კითხვის დასმა კი თავდასხმად აღიქმება, – ამბობს თეა წულუკიანი.

ყურადღებას იქცევს საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომები საქმეთა განხილვის პროცედურასთან დაკავშირებით. მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური სარჩელებით მიმართეს 2015 წლის 19 ოქტომბერს შპს ფოთის მარცვლეულის ტერმინალმა (673), 2015 წლის 26 ოქტომბერს შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-მა და შპს ტელეკომპანია საქართველომ (675) და 2015 წლის 28 ოქტომბერს სააქციო საზოგადოება თიბისი ბანკმა (677).

– ყველა აღნიშნულ სარჩელში სადავოდ იყო გამხდარი კანონის ერთი და იგივე ნორმა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი) და ყველა მოსარჩელე ითხოვდა მისი მოქმედების შეჩერებას საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე.

საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ (ისევ პირველმა და კვლავ პირველმა!) საქმეების განსახილველად გადაცემიდან სულ რამდენიმე დღეში, იმავე წლის 2 ნოემბერს, ჩანიშნა განმწესრიგებელი სხდომა ზეპირი მოსმენით მხოლოდ 673 და 677 სარჩელებზე და არა 675 სარჩელზე (რომელიც წარმოადგენდა რუსთავი 2-ის სარჩელს და მისი წინ წამოწევა მეტად თვალში საცემი იქნებოდა, ალბათ), – აღნიშნავს იუსტიციის მინისტრი.

მისი აზრით, ამ გარემოებამ მაშინვე გააჩინა კითხვები, რადგან საკონსტიტუციო სასამართლო, საკუთარი დამკვიდრებული პრაქტიკითვე, ერთნაირი შინაარსისა და მოთხოვნის მქონე საქმეებს ერთად იხილავს.

მას შემდეგ, რაც 2 ნოემბერს გაირკვა, რომ 673 და 677 სარჩელის ავტორები უარს აცხადებდნენ დავის გაგრძელებაზე, საკონსტიტუციო სასამართლომ, თითქოსდა პანიკურ ფონზე, იმავე დღეს, ისე, რომ არც უცდია უარის დეტალებში დამატებით გარკვევა და ისე, რომ არ მოისმინა მოპასუხის, საქართველოს პარლამენტის მოსაზრება სარჩელთან დაკავშირებით, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა რუსთავი 2-ის 675 სარჩელი, მიიღო ის არსებითად განსახილველად და შეაჩერა სადავო აქტის მოქმედება.

– ეს იყო და არის დღემდე ერთადერთი პრეცედენტი, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლომ ნორმა შეაჩერა ისე, რომ ამასთან დაკავშირებით არ გამართა ზეპირი მოსმენა და არ მისცა მხარეებს შესაძლებლობა, წარმოედგინათ საკუთარი არგუმენტაცია, – დასძენს თეა წულუკიანი.

საკონსტიტუციო სასამართლო: „იუსტიციის მინისტრის განცხადებები საკონსტიტუციო სასამართლოს დისკრედიტაციას ისახავს მიზნად“

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით, იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის მიერ გაკეთებული განცხადებები უპასუხისმგებლო და უსაფუძვლოა, ასევე შეუფერებელია მისი თანამდებობისთვის.

ამის შესახებ ნათქვამია განცხადებაში, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლომ გუშინ, 13 ივნისს, გაავრცელა.

– იუსტიციის მინისტრის მხრიდან გაკეთებული განცხადებები მიზნად ისახავს საკონსტიტუციო სასამართლოს დისკრედიტაციისა და მოსამართლეების პოლიტიკურ დებატებში ჩართვის მცდელობას. აღნიშნული განცხადებები არა მხოლოდ უპასუხისმგებლო და უსაფუძვლოა, არამედ შეუფერებელია მისი თანამდებობისთვის, – ნათქვამია განცხადებაში.

განცხადების ავტორთა თქმით, იუსტიციის მინისტრი წარმოადგენს აღმასრულებელი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირს და მისი განცხადებები აღიქმება სასამართლოზე და კონკრეტულ მოსამართლეებზე ზეწოლის მცდელობად.

– გამოვთქვამთ იმედს, რომ გამოთქმული მოსაზრებები არ წარმოადგენს საქართველოს მთავრობისა და მისი ხელმძღვანელის პოზიციას, – აღნიშნულია განცხადებაში. მასში კონკრეტულ ფაქტებზე არაფერია ნათქვამი.

იუსტიციის მინისტრის დეტალური შეკითხვების მიუხედავად, საკონსტიტუციო სასამართლო აცხადებს, რომ სარჩელების განხილვის ვადებთან, ისევე როგორც საქმეთა განაწილების საკითხთან დაკავშირებით, ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა საზოგადოებას.

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# კვირიკაშვილი პარლამენტის თავმჯდომარედ, ქუმსიშვილი პრემიერად?

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს მთავრობაში ერთი საინტერესო ცვლილება მოხდა. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, ვიცე-პრემიერი დიმიტრი ქუმსიშვილი, პირველ ვიცე-პრემიერად დაინიშნა.

შესაბამისი განკარგულება საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა გუშინ, 13 ივნისს გამოსცა.

დღემდე საქართველოს მინისტრთა კაბინეტში ორი ვიცე-პრემიერის თანამდებობა არსებობდა, რომელსაც დიმიტრი ქუმსიშვილი და კახა კალაძე იკავებდნენ.

პირველი ვიცე-პრემიერის თანამდებობა, რომელზეც დიმიტრი ქუმსიშვილი დაინიშნა, მინისტრთა მოქმედ კაბინეტში სიახლეა.

ამ სიახლეს უკვე მოჰყვა მითქმა-მოთქმა. ყველას აინტერესებს, რაღა ახლა განხორციელდა ეს ცვლილება.

ერთი ვერსიით, კახა კალაძე საარჩევნო შტაბს ხელმძღვანელობს და ვიცეპრემიერობისთვის აღარ სცალია. თავის დროზე ბიძინა ივანიშვილმა ირაკლი ალასანია ვიცეპრემიერობიდან ამიტომ გაუშვა, თავდაცვის მინისტრმა ამ უწყებას უფრო მეტი ყურადღება უნდა დაუთმოსო.

არის მეორე ვერსიაც. „ქართულ ოცნებასთან“ დაახლოებულმა წყარომ „ახალ თაობასთან“ საუბარში განაცხადა, ამით შესაძლოა კალაძის პოზიციები შეასუსტეს.

– აქამდე მთავრობას ჰყავდა ორი ვიცე-პრემიერი. ორივე თანაბარი უფლებებით სარგებლობდა, მაგრამ რაკი კალაძე უფრო დაახლოებული იყო ივანიშვილთან, ის გაცილებით მეტს იღებდა საკუთარ თავზე. მინისტრებსაც ხშირად აძლევდა მითითებებს. ეტყობა, მთლად ზევით მისი ამბიციურობა აღარ მოეწონათ და ამიტომ გახდა პირველი ვიცე-პრემიერის პოსტის შემოღება აუცილებელი. იმასაც ამბობენ, რომ ვიღაცები კალაძის დაძირვას ცდილობენ, ამიტომაც გაუშვეს ის საარჩევნო შტაბში, – აღნიშნა ჩვენთან საუბარში „ქართულ ოცნებასთან“ დაახლოებულმა წყარომ.

პირველი ვიცე-პრემიერის პოსტის შემოღებას სხვა ვერსიებიც მოჰყვა. გავრცელებული ინფორმაციით, ქუმსიშვილს პრემიერად ამზადებენ.

ბოლო პერიოდში მთავრობა მის პიარზე სერიოზულად ზრუნავს. ქუმსიშვილმა პრემიერის პოსტი შესაძლოა არჩევნებამდე დაიკავოს, რადგანაც, როგორც კი გიორგი კვირიკაშვილი „ქართული ოცნების“ სიაში აღმოჩნდება, პრემიერის მოვალეობას პირველი ვიცე-პრემიერი შეასრულებს.

„ქართულ ოცნებაში“ სიის პირველი ნომრის საკითხი ჯერ გადაწყვეტილი არ არის. ცოტა ხნის წინ სიის პირველ ნომრად კვირიკაშვილი განიხილებოდა. ახლა კი ამის შანსი სახელმწიფო მინისტრ დავით ბაქრაძესაც გაუჩნდა. ტვ პირველის ინფორმაციით, კვირიკაშვილი მომავალ პარლამენტში სპიკერის პოსტზეც მოიაზრება.

როგორც ამბობენ, კვირიკაშვილს პოზიციები დავით კოლუაშვილის გამო შეერყა. ის პარტიის პოლიტსაბჭოში პრემიერის ინიციატივით შეიყვანეს, მან კი პირველივე ინტერვიუში ნაციონალების სადიდებელი აღავლინა.

# ქართული იდეა

**საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა**

№6

„ქართული იდეის“ გვერდი იხილეთ ყოველ სამშაბათს


# წმინდა კრებაზე არწასვლის გამო ატეხილი აჟიოტაჟის საპასუხოდ

წმინდა წერილი პირველიდან უკანასკნელ ფურცლამდე ასწავლის ადამიანებს, თუ როგორ უნდა გაარჩიონ ერთმანეთისაგან ჭეშმარიტება და ჭეშმარიტების შესახებ საკუთარი შეხედულებები.

მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ჩვენი თანამოქალაქე ურცხვად წამოჰყოფს ხოლმე თავს და საეკლესიო კანონიკურ საკითხებზე უხეში პრაგმატიზმის პოზიციიდან იწყებს საჯაროდ მსჯელობას.

ალბათ, ეს საკითხი სინდისს აწუხებს და აგნოსტიკური პოზიცია – „არ ვიცი„, სულს კმაყოფილებას ვერ ანიჭებს...

უსულგულო და უღმერთო მატერიალისტებიც კი ცდილობენ და ახერხებენ იმას, რომ თავიანთი „დოგმები“ კიდევ უფრო განამტკიცონ, ხოლო ფსევდოქრისტიანები საკუთარი სარწმუნოების საღმრთო დოგმებსაც კი ვერ ინარჩუნებენ. ისინი ამბობენ: „ეს საეკლესიო კანონები და დოგმები მძიმე, გაუგებარი და არაპრაქტიკულია!“ – თითქოსდა ღმერთი იყოს მოვალე წვრილმანი და გაუხეშებული კაცობრივი გონებით იხელმძღვანელოს და არა პირიქით, ადამიანები არ იყვნენ ვალდებულნი იმოქმედონ საღვთო გონების – ლოგოსის თანახმად.

სამწუხაროა, რომ, რაც მეტი იციან თანამედროვე ადამიანებმა, მით ნაკლებს აცნობიერებენ. ისინი მრავალმხრივი ცოდნით არიან აღსავსენი, თუმცა ცოდნის გამრავლებასთან ერთად შემეცნების უნარი უჩლუნგდებათ. ცოტაც და ყველაფერი ეცოდინებათ, მაგრამ ვერაფერს გაიგებენ...

ტრადიციული რელიგიები ხალხის მოსაზიდად ძირითადად მაინც გარეგან დასაყრდენებს ეძებენ: იუდაურ რელიგიაში ამ დასაყრდენს ეროვნული სოლიდარობა წარმოადგენს, ამის გარეშე თალმუდი გაქრებოდა; ისლამი ექსპანსიის სახით გავრცელდა, ის იარაღის ძალას ეყრდნობოდა; პაპიზმი (კათოლიციზმი) ორგანიზაციას, დისციპლინას და გარეგნულ ავტორიტეტს ემყარებოდა, რომელიც პაპშია ხორცშესხმული; პროტესტანტიზმი წმინდა წერილისადმი ბუკვალურ მიდგომას ეყრდნობოდა, რომლის მიღმაც არა სული, არამედ ადამიანური ინტელექტი დგას. ამიტომ თვით სახარება იქცა გარეგნულ ავტორიტეტად; ინდუისტური რელიგიები ადამის ცდუნებას იმეორებენ. ისინი ადამიანს არწმუნებენ, რომ იგი თავისი ბუნებით ღმერთია, ანუ ადამიანური ამპარტავნების მუწუკს ჩხრეკენ; რეფორმირებული ინდუისტური სექტები კი, რომლებიც თანამედროვე ადამიანის პრაგმატიზმს ითვალისწინებენ, მას განსაკუთრებულ ოკულტურ ცოდნასა და ზებუნებრივ ძალას ჰპირდებიან. შეიძლება ითქვას, წარმართობის თანამედროვე რენესანსი იმითაა განპირობებული, რომ რელიგიაშიც კი ადამიანი ღმერთთან ურთიერთობას არა თვითუარყოფის მეშვეობით, არამედ დამატებითი ენერგეტიკის საშუალებებით ეძიებს და საკუთარი მნიშვნელობის დამტკიცებას ესწრაფვის; სხვადასხვა სექტა ურთიერთდახმარების სისტემის კონფესიურ სოლიდარობას ემყარება, როგორც საზოგადოებრივ თავდებობას.

ჩვენი სარწმუნოება ყველაზე ხანდაზმულია. ბიბლია უძველესი წიგნია. სხვა რელიგიები, რომლებზეც რაიმე წერილობითი დადასტურება არსებობს, გაცილებით გვიან გაჩნდნენ.

მართლმადიდებლობა ქრისტიანობის ყველაზე ძველი ფორმაა, რომელსაც ცვლილებები და რეფორმა არ განუცდია. ყველა დანარჩენი რელიგიისა და კონფესიის ისტორია რეფორმაციებისა და ცვლილებების ისტორიაა. რეფორმას კი არასრულყოფილი განიცდის, თუმცა ამით სრულყოფილი მაინც ვერ ხდება. მართლმადიდებლობა აბსოლუტური ჭეშმარიტებაა და ამიტომ მარად უცვლელია. მართლმადიდებელ ეკლესიაში დრო გაჩერებულია და საათის ისრები პირველ საუკუნეს უჩვენებენ. ღმერთი რაც იყო გუშინ, ის არის დღეს და ჰგიებს უკუნითი უკუნისამდე. მართლმადიდებლობა არ განიცდის ევოლუციას, არ პროგრესირდება, არ ვითარდება მცირედიდან დიდისაკენ, დაბლიდან მაღლისაკენ. მან ცხოვრების სისავსე სულთმოფენობის დღეს მიიღო და თავის საიდუმლოებებსა და წეს-ჩვეულებებში იცავს, მაგრამ ინახავს არა როგორც მოგონებას, არამედ – როგორც გაგრძელებას თვით სულთმოფენობისა.

**ლევან ჩაჩუა**

წმ. ნიკოლოზ სერბისა და
არქიმანდრიტი რაფაელის (კარელინი)
ქადაგებების მიხედვით



ანტიოქიის, ბულგარეთის, საქართველოს და სერბეთის (ასევე სავარაუდოდ რუსეთის) მართლმადიდებელი ეკლესიები არ მიიღებენ მონაწილეობას ამა წლის 16-26 ივნისს კუნძულ კრეტაზე დაგეგმილ წმინდა და დიდ კრებაში.



რომის პაპი ფრანცისი მართლმადიდებელთა კრებაზე კათოლიკური ეკლესიის მაღალი იერარქიის წარმომადგენლებს გააგზავნის დამკვირვებლებად... „კათოლიკური ეკლესია იმედოვნებს, რომ კრება შედგება“, – ამბობს ერთ-ერთი „დამკვირვებელი“ ბრაიან ფარელი.

P.S. ბოლომდე აიხადეს ნიღაბი!..



*ეს ქვეყანა ჭეშმარიტებისათვის ბრძოლის ასპარეზია.*

წმ. ნიკოლოზ სერბი
(ველიმიროვიჩი)

## მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული იდეის“ მიზნები და ამოცანები:

ა) დამოუკიდებელი, სამართლებრივი და ჭეშმარიტად ეროვნული ქართული სახელმწიფოს მშენებლობა და კანონის წინაშე ნებისმიერი მოქალაქის თანასწორობა;

ბ) საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და საქართველოს სახელმწიფოს შორის არსებული საკონსტიტუციო შეთანხმების (კონკორდატი) საფუძველზე ეკლესიის როლის გაზრდის ხელშეწყობა ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში;

გ) სამართლიანობის აღდგენა და ამ მიზნით ნაცმოძრაობის ცხრაწლიანი მმართველობის პოლიტიკური შეფასება. რეპრესირებულთა (დახოცილი, უკანონოდ დაპატიმრებული, ქონებაწართმეული და სახელმწიფოს მიერ პოლიტპატიმრებად აღიარებული პირების სრული რეაბილიტაცია;

დ) კეთილმეზობლური ურთიერთობა და ქმედითი თანამშრომლობა რეგიონისა თუ სხვა ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. სახელმწიფო სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე რუსეთთან ქვეყნის დეოკუპაციის საკითხებზე პირდაპირი მოლაპარაკებების დაწყება;

ე) სულიერ-ზნეობრივი და ჯანსაღი მომავალი თაობების აღზრდის მიზნით განათლების სისტემის ძირეული რეფორმირება;

ვ) თანამედროვე და ფუნდამენტური მეცნიერებების განვითარების ხელშეწყობის სტრატეგიულ პრიორიტეტად დასახვა;

ზ) ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანდაცვის სისტემის ფორმირება. ინვალიდებზე, სოციალურად დაუცველებზე და მსჯავრდებულებზე ზრუნვა. სტაჟისა და დამსახურების მიხედვით მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფა;

თ) ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრა და ჯანსაღი საინვესტიციო გარემოს შექმნა. მიწის, წყლის, ტყისა და სახელმწიფო სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების გასხვისებაზე უარის თქმა;

ი) სოფლის შენარჩუნების (განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონებში) და სოფლის აღორძინების სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა, სოფლის მეურნეობის სახელმწიფო სუფსიდირება, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების ხელშეწყობა, მისი რეკლამირებისა და ქვეყნის გარეთ რეალიზაციისთვის მხარდაჭერა. შიდა სამომხმარებლო ბაზარზე უცხოეთიდან იმპორტირებული (ხშირად მდარე ხარისხის) პროდუქტების ჩანაცვლება ადგილობრივი ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციით;

კ) დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით სახელმწიფოს მხრიდან ახალდაქორწინებულებისა და მრავალშვილიანი ოჯახებისთვის სოციალური შეღავათებისა და დახმარების განსაზღვრა;

ლ) ქვეყნის ისტორიული მემკვიდრეობისა და სულიერ-კულტურული ფასეულობების დაცვა და მოვლა-პატრონობა.




თორნიკე კივილაძე, გეგა ხვედელიძე, ლევან სვანიძე, გიორგი კობალაძე

**„ქართული იდეის“ ახალგაზრდულ ფრთაში გაწევრიანების მსურველები დაგვიკავშირდით მისამართზე: მოსეშვილის ქ. №11, VI სართული ტელ.: 2 244-140.**






„ქართული იდეის“ ახალგაზრდული ფრთა აიდი ბარათების ალტერნატიული პირადობის მოწმობების მოთხოვნის აქციაზე



# ერი და სამშობლო როგორც წმინდა და საკრალური

ერი ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობაა, რომელიც ეფუძნება ხალხის საერთო წარმომავლობას, ენას, კულტურას, საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებულ ისტორიულ მეხსიერებასა და ეთნოფსიქოლოგიას, საერთო ეროვნულ თვითშეგნებას და ცნობიერებას.

თითოეული ერი დედამიწაზე ღრმად თავისებური და ინდივიდუალურია. ერის გენეტიკა, ისტორია, გარემო და ისტორიული პირობები განსაზღვრავენ ამა თუ იმ ხალხთა ერთობის თავისებურებასა და ცნობიერებას.

ქართველი ერი წარმოშობილია კავკასიაში დასაბამიდან ავტოქტონურად მცხოვრები და განვითარებული, ისტორიულად, ანთროპოლოგიურად და კულტურულად უნიკალური მოდგმისგან.

დღესავით ნათელია, რომ საქართველოში არაბუნებრივ და თავსმოხვეულ იდეოლოგიებს და ფასეულობებს დიდი ხანია ნერგავს მტერი მთელი გულმოდგინებითა და ძალისხმევით. ყოველივე, რაც არა ბუნებრივი და შეუთავსებელია ადამიანისთვის და შესაბამისად ადამიანთა ერთობისთვის იწვევს უკუქმედებას და სავალალო შედეგებამდე მიჰყავს კონკრეტული ინდივიდი თუ ნაცია. დღევანდელ რეალობაში გადაგვარებისა და გადაჯიშების გზაზე მდგარ ქართველებს არსებულ რეალობაზე უარესი პერსპექტივა მხოლოდ სრული ფიზიკური მოსპობის შემთხვევაში ემუქრებათ.

ილია მართალი ამბობს: „ერს ერთი სული, ერთი გული აქვს. ხოლო ხორცი იმდენი, რამდენიც ცალკე ადამიანია“.

ჩვენი ფუნდამენტური პრობლემა, რაც დღეს ეროვნულ სახეს გვაკარგვინებს, საერთო ქართული ერთსულოვნების, სულიერი, ცნობიერი ერთობის უკიდურესად მისუსტება და მინავლებაა.

ქართული საზოგადოება დღეს ცივილიზაციით ამართლებს იმ ფუნდამენტურ ღირებულებებზე და ძირეულ ფასეულობებზე უარის თქმას, მათ გაყიდვას, რაზეც დგას ქართველთა ცნობიერება და რაც ქმნის სულიერ წიაღს ერისთვის, რამაც უნდა დაბადოს და აღზარდოს მომავალი საქართველოს ჭეშმარიტი შვილები.

საქართველოში არსებულმა პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა, კულტურულმა უარყოფითმა ცვლილებებმა მიგვიყვანა იქამდე, რომ „ეროვნული იდეოლოგია“ როგორც ფენომენი, ქართველ ერში არ არსებობს და ალაგ-ალაგ ყურმოკვრით ვაწყდებით მასზე მსჯელობას, რაც საზოგადოების „პროგრესული“ ნაწილისთვის დრომოჭმულ, ჯერ კიდევ გადაულახავ წინაღობად ასოცირდება.

მრავალ ღირსეულ და დიდ ნაციას ისტორიული ჩარხის სვლაში განუცდია ისეთი რეციდივები, რითაც განპირობებულა მისი გადაჯიშება ან სრულიად გაქრობა ისტორიის გარკვეულ ეტაპზე. ჩვენი დღევანდელი ქართული ყოფა გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ ამ გზით მავალ ქართველ ხალხს აუცილებლად დაუდგება ყოფნა არ ყოფნის დილემა.

საბჭოთა იმპერიისგან გამოყოფის მიუხედავად, საქართველო იმპერიული აზროვნების, თავსმოხვეულ იმპერატივთა მონური ფსიქოლოგიის საზღვრებში რჩება, ჩვენი ეროვნული „მე“ და ეროვნულ ერთობაში ჩამოყალიბებული საერთო ეროვნული ნება ჩვენ შემთხვევაში არარსებული პათეტიკაა. საერთო ეროვნულ ნებას საერთო იდეოლოგია ჭირდება. იდეოლოგია არა კონკრეტული პოლიტიკური პარტიებისა და მოძრაობების ზრახვათა განსახორციელებლად და კონკრეტული პოლიტიკოსების ბავშვობის ოცნებების ასასრულებლად, არამედ ერის დასარაზმად და საერთო ორიენტირებით მომავლის გზის განსასაზღვრად, რაც აგრერიგად გვაკლია და ამ უკმარისობით მიყენებულ ზიანს ვიმკით დღეს. ჩვენი უპრინციპობა და ერთსულოვნების არქონა ვლინდება უბრალო ადამიანურ ურთიერთობებში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ჩვენ ყოველდღიურობაში, რაშიც ვხედავთ, რომ ქართველთა სულიერი ერთობა და საერთო ქართული ნაციონალური მზაობა ქართული მიზნითა და იდეით ფაქტობრივად არ არსებობს.

იმისათვის, რომ მოვახერხოთ ეროვნული თვითგამორკვევა და საზოგადოებრივი მიზანდასახვა საერთო ქართული იდეით, პირველ რიგში უნდა გადავლახოთ საბჭოთა მემკვიდრეობიდან შემორჩენილი ღრმად ფესვგადგმული ჩვენ ყოფით კულტურასა და ცნობიერებაში გაუკუღმართებული წარმოდგენა.

ეროვნული მენტალიტეტის სრულყოფასთანაა დაკავშირებული იმ საკვანძო საკითხების მოგვარება, რომელთა გადაუჭრელობის მიზეზია დღევანდელი საქართველოს არა თუ ვერ განვითარება და ქართველი ხალხის რეალური ეროვნული კატასტროფის წინაშე აღმოჩენა.

ეროვნმულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელმაც თავისი საქმე საბჭოთა საქართველოში გააკეთა, ხარისხობრივად ახალ საფეხურზე ვერ ამაღლდა ეროვნული მოძრაობა დაიშალა, გათითოკაცდა. საქართველოში არსებულ უფორმობასა და ქაოსში, სტრესსა და დაძაბულობაში, იმპერიათა ნასუფრალს დახარბებულ ქართველთა თარეშში სრულიად მიიძინა და მიჩლუნგდა ქართული ნაციონალისტური იდეა, ეროვნული მოძრაობის წმინდა და ქართველი ერისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის იდეა.

ახალი ქართული ნაციონალიზმი აუცილებლად უნდა პასუხობდეს თანამედროვე გამოწვევებს და ამასთან იდგეს იმ ფუნდამენტურ საფუძველზე, რაზეც დგას ქართველთა ეროვნული იდენტობა და ეროვნული ერთობის მრავალსაუკუნოვანი იდეა.

ქართველ ადამიანში, უპირველეს ყოვლისა ქართველ ახალგაზრდებში, უნდა დაბრუნდეს ერი და სამშობლო როგორც წმინდა და საკრალური, სულიერად აუცილებელი მნიშვნელობის ფასეულობა და ორიენტირი ცხოვრებისათვის.

საზოგადოებამ მტკიცედ და ღრმად უნდა გააცნობიეროს, რომ ადამიანს შინაგანი მრწამსი, სწორად შემდგარი პიროვნული მსოფმხედველობა და ინდივიდუალიზმი მხოლოდ მაშინ შეიძლება ჰქონდეს, როდესაც გააჩნია ეროვნება, ეროვნული იდენტობა და თვითმყოფადი სამშობლო. ქართული ეროვნული იდეის აღორძინებას, ქართველი ადამიანის მხრიდან სჭირდება წმინდად დაცული და ცხოვრებაში განხორციელებული წმინდად ქართული ეროვნული ფასეულობები და ამ იდეაში საკუთარი თავის სწორად პოვნა, შეფასება და უფლება-მოვალეობების, ცხოვრების მიზნებისა და იდეალების სწორად განსაზღვრა.

ყოველივე ზემოთქმულს ახალი ქართული, ეროვნული, სოციალურ-პოლიტიკური და ამასთან, კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობის აღორძინება და ყველა ბერკეტებით საზოგადოებრივი ჯგუფებისგან და უკეთეს შემთხვევაში სახელმწიფოსგან ქართული ნაციონალისტური იდეის ჯანსაღი, პრაგმატული, რაციონალური, მტკიცე და ეროვნული იდეის სიყვარულით სავსე მსახურება სჭირდება!

**გეგა ხვედელიძე**
„ქართული იდეის“ ახალგაზრდული ფრთის თავმჯდომარე,
სოხუმის უნივერსიტეტის ისტორიული ფაკულტეტის
III კურსის სტუდენტი

# ქართული საგანმანათლებლო მოდელი



მხოლოდ განათლებულ საზოგადოებას ძალუძს გახდეს განვითარებული, ცივილიზებული, ძლიერი სახელმწიფოს შემოქმედი. განათლების სფეროს დაფინანსება რასაკვირველია, უაღრესად მნიშვნელოვანია, მაგრამ ინვესტიციის ჩადების გარდა, აუცილებელია შეიქმნას ქართული საგანმანათლებლო მოდელი, რომლის მიზანი მოაზროვნე, პატრიოტი მოქალაქეების აღზრდა იქნება.

სამწუხაროდ, დღეს სკოლებსა და უნივერსიტეტებში სათანადოდ ვერ ისწავლება მშობლიური და უცხო ენები, საქართველოსა და მსოფლიოს ისტორია, ტექნიკური სამეცნიერო დისციპლინები, საბუნებისმეტყველო საგნები და ა.შ ამგვარი სურათი იმ ცრურეფორმებმა განაპირობა, რომელიც ფსევდორეფორმატორების ინოვაციად შერაცხული რევოლუციური ნაბიჯები იყო. ნაბიჯი აშკარად არ გადადგმულა წინ, პირიქით, ჩვენი განათლების სისტემა ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს, რადგან მან უარყო სისტემური განათლების მოდელი და ე.წ ,,უნარ-ჩვევების'' გამომუშავება აქცია ეროვნული საგანმანათლებლო პროგრამის უმთავრეს მიმართულებად.

ცხადია განათლების სისტემის ერთ-ერთ მიზანს, სწორედ ,,უნარ-ჩვევების'' გამომუშავება და განვითარება უნდა წარმოადგენდეს, მაგრამ მხოლოდ რაციონალიზმსა და თანამედროვე ტენდენციებს აყოლილი განათლების ფილოსოფიით, არავითარ შემთხვევაში არ უნდა შემოიფარგლოს ქართული საგანმანათლებლო მოდელი.

მორყეულია ქართული განათლების ქვა-კუთხედი. თანამედროვე სისტემამ მთლიანად ამოაცალა სული ქართულ საგანმანათლებლო სივრცესა და ფილოსოფიას. სისტემის წიაღში იზრდებიან ეგოისტი ინდივიდუალისტები, რომლებიც დაცლილნი არიან ყოველგვარი წმინდა ფასეულობისგან და მხოლოდდამხოლოდ საკუთარი კარიერის მოწყობაზე ზრუნავენ. ბუნებრივია, რაც მეტი პროფესიონალი ეყოლება ჩვენს ქვეყანას, მით მეტად გაიზრდება ქართველი ერის შრომით-ინტელექტუალური პოტენციალი, მაგრამ კონკრეტულ სფეროში სიღრმისეული ცოდნის გარდა, თუ პროფესიონალი არ იქნება ზნეობრივი და მკვეთრად გამოკვეთილ ნარცისად ჩამოყალიბდება, ვერ შეძლებს გუნდურ მუშაობას, არ გამოხატავს სოლიდარობას საკუთარი თანამემამულეების მიმართ, ცხადია მისი შესაძლებლობების რეალიზაცია, მხოლოდ ერთი კუთხით - პირადი ეგოს ახირებებითა და სარგებლის მიღების პრინციპით წარიმართება. ამრიგად, სამომავლოდ, ახალი ქართული საგანმანათლებლო ფილოსოფიური მოდელის შექმნისას, აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული ზემოთხსენებული გარემოება, რათა საგანმანათლებლო პროგრამებში ამოქმედდეს ისეთი მექანიზმები, რომლებიც მაქსიმალურად ხელს შეუწყობს გუნდური მუშაობის წეს-კანონების შესწავლას, გუნდის მართვას, ერთმანეთის ურთიერთპატივისცემასა და სოლიდარობაზე დაფუძნებულ საერთო შრომას, ლიდერობისა და ლიდერთან ურთიერთობის ხელოვნების დაუფლებას.

თაობათა ცვლა - გარდაუვალი პროცესია. საქართველოს განათლების პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა ზნეობრივი, ფართო დიაპაზონის განათლების მქონე, კონკრეტული დარგის/დარგების მცოდნე პედაგოგების აღზრდა უნდა იყოს. მასწავლებლობა ერთ-ერთ პრესტიჟულ პროფესიად უნდა იქცეს, რათა განსაკუთრებული შრომის უნარითა და ინტელექტუალური მონაცემებით დაჯილდოვებული ადამიანები, მატერიალური მოთხოვნილებების უზრუნველყოფის მიზნით არ აბარებდნენ შედარებით შემოსავლიან სფეროდ მიჩნეულ სპეციალობებზე. უდავოა, რომ პედაგოგობა - განსაკუთრებით დიდ ძალისხმევასა და მომზადებას მოითხოვს. სახელმწიფომ მაქსიმალურად ხელი უნდა შეუწყოს პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების განვითარებას და კონკრეტული პროგრამის შექმნას, რომელიც მასწავლებელთა ახალ თაობას აღზრდის, შემდეგ კი, მათთვის ღირსეული სამუშაო პირობების შექმნასა და შრომის დაფასებას უზრუნველყოფს.

განათლებისა და მეცნიერების განვითარებით, საქართველო ერთობლივად რამდენიმე რამდენიმე პრობლემას მოაგვარებს, სახელდობრ: ეყოლება მცოდნე, მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების მამულიშვილები; ცოდნა იქცევა ეკონომიკური განვითარების მყარ საფუძვლად; გონივრულად გაგრძელდება ბრძოლა რეალური დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად და გლობალურ პოლიტიკაში გონივრული, მოქნილი სტრატეგიების განსახორციელებლად.

,,ქართული იდეის'' ახალგაზრდული ფრთა იწყებს აქტიურ მუშაობას თანამედროვე ქართული საგანმანათლებლო მოდელის შესაქმნელად, რომელიც ქართულ ეროვნულ იდეას აქცევს ქვა-კუთხედად და ამავდროულად, მზად იქნება უპასუხოს თანამედროვე გამოწვევებს, აითვისოს ცოდნა წარმატებული უცხოელი სპეციალისტებისგან, მაგრამ ამასთანავე, შეინარჩუნოს ზომიერება და არ დაკარგოს საკუთარი ეროვნული საგანმანათლებლო სისტემის ორიენტირები, გონივრულად მოახერხოს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმარება, მცოდნე კადრების აღზრდა, პედაგოგებისა და მეცნიერთათვის ჯანსაღი სამუშაო პირობების შექმნა.

**თორნიკე კივილაძე**
„ქართული იდეის“ ახალგაზრდული ფრთის წევრი,
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტი;
ბრიტანეთმცოდნე, პედაგოგი

**რედაქციის წევრები**: თეა პაიჭაძე, ინგა გავაშელი, მაია ფეიქრიშვილი.
ქართული იდეა ტელ.: 224-41-40

# ხაჯიმბა პოზიციების განმტკიცებას ცდილობს?

მარიამ მჭედლიშვილი

აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმის პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა სამუშაო ვიზიტად მოსკოვში იმყოფება.

სარწმუნო წყაროების ცნობით, მას რუსეთის ხელისუფლების ნდობის დაბრუნების იმედი აქვს. რუსეთის ინტერესების გამტარებელმა ხაჯიმბამ მოსკოვის მოლოდინი ბოლომდე ვერ გაამართლა. ამიტომ, მისი შეცვლა გადაწყვეტილია. რუსეთის ხელშეწყობით აფხაზეთში გააქტიურდნენ დე ფაქტო პრეზიდენტის ოპონენტები. მათი ინიციატივით ივლისში ტარდება რეფერენდუმი, რომელშიც მოსახლეობამ პასუხი უნდა გასცეს შეკითხვას, უნდა თუ არა ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები.

გარდა ამისა, პარტიები და არასამთავრობო ორგანიზაციები აქტიურად აყენებენ პრეზიდენტის იმპიჩმენტის შესახებ კანონისა და საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნის საკითხებს. ესეც ხაჯიმბას წინააღმდეგაა მიმართული.

მოსკოვში რაულ ხაჯიმბა რუსეთის ხელმძღვანელობასაც შეხვდა. მან საუბარი გამართა აფხაზეთის ე.წ. ელჩთან რუსეთში იგორ ახბასთან.

– თქვენი დავალებით ვანვითარებთ კავშირებს რუსეთის ფედერაციის სუბიექტებთან. ამ მიზნით ვიმყოფებოდით ნოვოსიბირსკსა და ჩუვაშეთის რესპუბლიკაში, – განაცხადა ახბამ.

აფხაზეთში კი რუსეთის საწინააღმდეგო განწყობები ძლიერდება. გრძელდება დისკუსია აფხაზურ-რუსულ ურთიერთობებზე.

ამის საბაბი გახდა რამდენიმე დღის წინ სოხუმის მერის ადგურ გადელიას განცხადება. გადელიამ განაცხადა, რომ რუსეთს აფხაზეთის ტერიტორია ძალიან სჭირდება, ამის სანაცვლოდ გაღებული თანხები კი მცირეა:



– ჩვენი ურთიერთობები რუსეთთან უფრო გამჭვირვალე უნდა გავხადოთ. კაპიკების სანაცვლოდ რუსები სარგებლობენ ჩვენი უზარმაზარი ტერიტორიით, რომელიც ჩვენ მათ სამხედრო ბაზებისთვის დავუთმეთ. ისინი მათ მხოლოდ ჩვენ დასაცავად არ განათავსეს. ეს ბაზები, პირველ რიგში, საჭიროა იმისთვის, რომ რუსეთი დაიცვან ნატოსგან.

გაგრძელება მე-8 გვერდზე

# არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქის“ თავმჯდომარეს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს

## მ ი მ ა რ თ ვ ა

ბატონო ბიძინა, მოგმართავთ თბილისის გოგირდის აბანოების მეპატრონეების სახელით. ჩვენ უკვე არაერთხელ მივმართეთ შესაბამის უწყებებს და ქვეყნის ხელისუფლებას.

კომპანია „ჯორჯიან უოთერს ენდ ფაუერმა“ გამოიყენა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი ტარიფის მაქსიმალური ზღვარი და აბანოებს დაღვრილი წყლის გატარება-გაწმენდის გადასახადი გაუათმაგა. უკვე რამდენიმე თვეა ვითხოვთ აღნიშნულ კომპანიებთან შეხვედრას და საკითხის მოგვარებას, მაგრამ უშედეგოდ. ჩვენი ბოლო იმედი პრობლემის მოსაგვარებლად ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლების, კანონმდებლების, დედაქალაქის მერიის ხელმძღვანელობის ჩართვა გახლდათ. სამწუხაროდ, ვერც ამ ქმედებებს მოჰყვა რაიმე შედეგი და ჩვენ კვლავ უშედეგოდ ველით, რომ საკითხი კონსტრუქციულ ფარგლებში, ცივილური გზით მოგვარდება.

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“, როგორც ქ. თბილისის ტერიტორიაზე წყალმომარაგების ლიცენზიანტი, აბანოების შენობა-ნაგებობების მესაკუთრეებს სთხოვს აბანოს ფუნქციონირების შედეგად მოხმარებული წყლის გადასახადთან ერთად, გოგირდის გეოთერმული წყლების მოხმარების შედეგად საკანალიზაციო ქსელში ჩამდინარე სითხის გატარება-გაწმენდის ღირებულებას. ხსენებულმა კომპანიამ აღნიშნული მომსახურების საფასური შეცვალა და 1 კუბურ მეტრზე 0,90 თეთრი, სემეკის მიერ დადგენილი ტარიფის მაქსიმალური ზღვარი დაგვიწესა.

იძულებულნი ვხდებით მივმართოთ უკიდურეს ზომებს, რადგან შესაბამისი უწყებებისადმი ჩვენი არაერთი მიმართვისა და თხოვნისა, პრობლემა კვლავ პრობლემად რჩება და თბილისის გოგირდის აბანოების ყოფნა-არყოფნის საკითხი დღითიდღე კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, რადგან GWP-ს მიერ უკანონოდ დარიცხულმა დავალიანებამ უკვე 100 ათას ლარს გადააჭარბა.

გაცნობებთ, რომ გოგირდის გეოთერმული წყლები წარმოადგენს თვითმდენ მიწისქვეშა წყალს და დღე-ღამის განმავლობაში ჭაბურღილიდან თვითდენით გამოედინება დაახლოებით 1000 კუბური მეტრის ოდენობით. წყლის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეუძლებელია თვითმდენი საბადოს თუნდაც დროებით დაკეტვა. ამას კატეგორიულად ეწინააღმდეგება გარემოს დაცვის სამინისტრო, რადგან გოგირდის წყალი მიეკუთვნება აგრესიული წყლების კატეგორიას და ჭაბურღილის გადაკეტვა გამოიწვევს საბადოს ამოხეთქვას, დებეტების შემცირებას, ან საბოლოოდ დაკარგვას.

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ ჩვენს კომპანიებს გადასახადი გაუათმაგა. არაერთგზის თხოვნის მიუხედავად, არ ითვალისწინებს საქმიანობის სპეციფიკას და უარს ამბობს ჩვენთან მოლაპარაკებაზე. მისი მიზანია აბანოების გაკოტრება და საბოლოოდ ხელში ჩაგდება. სწორედ ესაა „საქართველოს ბანკის“ სტილი, ხოლო GWP უკვე „საქართველოს ბანკის“ საკუთრებაშია.

ბატონო ბიძინა, შპს „ბახმარო“, შპს „ჯორჯიან სპა“, შპს „შაკო“, შპს „ჭრელი აბანო“ და შპს „ნარიყალა“ თქვენ მოგმართავთ თხოვნით, შეაფასოთ ჩვენი მდგომარეობა და შესაბამის სამსახურებს მისცეთ რეკომენდაცია, განიხილონ დაღვრილი წყლის გადასახადის გადახდის წესი, გაითვალისწინონ თბილისის აბანოების განსხვავებული სპეციფიკა, ტურისტული და ისტორიული მნიშვნელობა. გთხოვთ დაგვეხმაროთ თბილისის მნიშვნელოვანი ღირსშესანიშნაობის გადარჩენაში.

ჩვენი სურვილია გულდასმით შეისწავლოთ ჩვენი სატკივარი და მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, შესაძლებლობის ფარგლებში, დაგვეხმაროთ.

გარწმუნებთ, რომ ვერც ერთი ზემოთ ხსენებული აბანოს შენობის მესაკუთრე ვერ გადაიხდის დაკისრებულ გადასახადს და იძულებული გახდება შეაჩეროს დაწესებულების ფუნქციონირება. სამსახურს დაკარგავს ასეულობით ადამიანი, ბიუჯეტი დაკარგავს შემოსავალს, თბილისი დაკარგავს უმნიშვნელოვანეს ტურისტულ და ისტორიულ ღირსშესანიშნაობას – დედაქალაქი დარჩება გოგირდის აბანოების გარეშე!

თუ ჩვენი პრობლემა უახლოეს მომავალში არ გადაწყდება, იძულებულნი გავხდებით მივმართოთ პროტესტის უკიდურეს ზომებს – შევაჩეროთ აბანოების მუშაობა, გავმართოთ საპროტესტო აქციები და საზოგადოებას გავაგებინოთ, რომ ქვეყნისთვის საამაყო ისტორიულ ძეგლს სახელმწიფოსგან შველა სჭირდება.

**პატივისცემით, თბილისის გოგირდის აბანოების მეპატრონეები.**

საქმე №2/13196-16

# განჩინება

**საქართველოს სახელით**
**საჯარო შეტყობინების შესახებ**

**27.05.2016** წელი ქ. თბილისი

**თბილისის საქალაქო სასამართლო**
**სამოქალაქო საქმეთა კოლეგია**
**მოსამართლე ასმათ კოხრეიძე**

**განმცხადებელი:** იური ღურწკაია
**მოთხოვნის არსი:** თამასუქის ძალადაკარგულად გამოცხადება და მასზე უფლების აღდგენა

**სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 330-334ე, 284-ე, 285-ე, 414-ე მუხლებით და**

**დ ა ა დ გ ი ნ ა :**

1. გამოქვეყნდეს საჯარო შეტყობინება (ცნობა), შემდეგი სახით:

1.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის (მოსამართლე ასმათ კოხრეიძე) წარმოებაშია №2/13196-16 სამოქალაქო საქმე, იური ღურწკაიას განცხადებისა გამო, თამასუქის ძალადაკარგულად გამოცხადების და მასზე უფლების აღდგენის თაობაზე.

1.2. განმცხადებელია – იური ღურწკაია, მცხოვრები მისამართზე: თბილისი, ნუცუბიძის პლატო, მე-4 მ/რ, კორპ. №55, ბ. 58.

1.3. დაკარგულია ფასიანი ქაღალდი – თამასუქი, რომლის ნიშნებია:

1. ნომერი – 045278;
2. თამასუქის გამცემი – მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „რიკო ექსპრესი“;
3. თამასუქის შედგენის თარიღი – 26 იანვარი 2016;
4. თამასუქის შედგენის ადგილი – ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №68/70;
5. უპირობო ვალდებულება მითითებული ფულადი თანხის გადახდის შესახებ – 10 000 (ათიათასი) აშშ დოლარი;
6. დარიცხული წლიური პროცენტის ოდენობა – 6% (ექვსი);
7. გადახდის ვადა – 26 იანვარი 2017;
8. გადახდის ადგილი – ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №68/70;
9. პირი, რომელსაც უნდა გადაუხადონ – იური ღურწკაია, საქართველო, თბილისი, ნუცუბიძის პლატო, მე-4 მკრ, კორპ. №55, ბ. 58, №62001011968.

1.4. იმ საბუთის ხელთმქონე, რომლის დაკარგვის შესახებაც გაცხადებულია, ვალდებულია პუბლიკაციის დღიდან 3 თვის ვადის გასვლამდე განჩინების გამომტან სასამართლოში შეიტანოს განცხადება საბუთზე თავისი უფლების შესახებ და ამასთან ერთად წარადგინოს საბუთის დედანიც.

2. თუ საბუთის ხელთმქონემ პუბლიკაციის დღიდან 3 თვის ვადის გასვლამდე შეიტანა სასამართლოში განცხადება, სასამართლო განცხადებას საბუთის დაკარგვის შესახებ სასამართლო განუხილველად დატოვებს და დაადგენს ვადას, რომლის განმავლობაშიც საბუთის გამცემ დაწესებულებას (პირს) აუკრძალავს ამ საბუთით გადახდის და გაცემის წარმოებას. ეს ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს 2 თვეს. იმავდროულად სასამართლო განუმარტავს განმცხადებელს მის უფლებას, აღძრას სარჩელი საბუთის გამოთხოვის შესახებ საერთო წესით იმ პირის მიმართ, ვისაც ხელთა აქვს საბუთი, ხოლო ამ უკანასკნელს – მის უფლებას, გადაახდევინოს განმცხადებელს ზარალი, რაც გამოწვეულია აკრძალვის ღონისძიებით.

3. საქმეს დაკარგული საბუთების ბათილად ცნობის შესახებ სასამართლო განიხილავს პუბლიკაციის დღიდან 3 თვის ვადის გასვლის შემდეგ, თუ საბუთის ხელთმქონისაგან არ შემოვიდა 332-ე მუხლში მითითებული განცხადება.

4. საჯარო შეტყობინება (ცნობა) გამოქვეყნდეს ადგილობრივ გაზეთში.

5. განჩინება არ საჩივრდება.

**მოსამართლე:** **ასმათ კოხრეიძე**

# „ბრძოლა, ყველა ერთის წინააღმდეგ, გრძელდება“

დღეს „ნაცებს“ ჰგონიათ, რომ რაც ხშირად იქნებიან ტელეეკრანებზე და რაც შეიძლება მეტ ტყუილს იტყვიან, მით მეტად დაუჯერებს მას ქართველი ერი და ამით ნდობას მოიპოვებენ. ვისგან ისწავლეს ეს სტრატეგია? ვინ იყო ტყუილის მანქანის ფუძემდებელი? ჯერ კაცთმოძულე ადოლფ ჰიტლერისეული ლოზუნგი გავიხსენოთ: **„ბრძოლაში რაც შეიძლება აქტიურად უნდა გამოვიყენოთ ტყუილი, რაც უფრო აბსურდულია, მით უფრო ადვილად დასაჯერებელია ხალხისათვის, ხოლო, როდესაც მოვიპოვებთ გამარჯვებას, მერე აღარავინ მოგვკითხავს, სად ითქვა მართალი და სად ტყუილი“**, ხოლო ჰებელსმა დაამატა: **„ათასჯერ გამეორებული ტყუილი, სიმართლე ხდება“**, ბაძავთ, „ნაცებო“, თქვენს სულიერ მამებს? ადრე ლენინის ლოზუნგები გამოგქონდათ საარჩევნოდ: „გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია“ ან „საქმე ლაპარაკის ნაცვლად“, ეტყობა, ბოროტ ძალას მეტის მოფიქრების უნარი აღარ აქვს და ერთსა და იმავეში მეორდება. არადა სულ გაიძახით, ჩვენ ილია ჭავჭავაძე გვიყვარსო, მაშინ რაღა ლენინს და ჰიტლერს ბაძავთ, ილიას მიბაძეთ, რომელმაც თქვა: **„სიმართლეს მაშინ აქვს ძალა, როდესაც მასზე სპეტაკი და პატიოსანი ადამიანი საუბრობსო“**. ვინმე თქვენს რიგებში გყავთ მაგისთანა, ალბათ ბოკერიაა, ან გაბაშვილი, ან ბაქრაძე, ან ბარამიძე, ან მელია, რაღაც არ გამოიყურებით სპეტაკ კაცებად.

საკმარისია გავიხსენოთ საქართველოს ისტორიის ბოლო 150 წელი და ჩვენ ნათლად მივიღებთ სურათს **„ყველა ერთის წინააღმდეგ“**. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში ეს „ყველა“ სოციალ-დემოკრატიული პარტია და მისი დამქაშები იყვნენ, ხოლო ის „ერთი“ ილია ჭავჭავაძე იყო. რა მოიმოქმედა ამ პარტიამ, ჯერ ილია ლამის ხალხის და გლეხების მტრად გამოაცხადა, მაგრამ ამ ტყუილით რომ ვერაფერი დააკლეს, ჩაუსაფრდნენ წიწამურთან და მოკლეს. რამდენიმე წლის შემდეგ ქართველებმა ეს ილიას მკვლელების პარტია 1918 წელს სათავეშიც კი აირჩია, ცოტა ხანში „მენშევიკი“ ილიას მკვლელები „ბოლშევიკმა“ მკვლელებმა ჩაანაცვლეს და რა მივიღეთ, ყველამ ვიცით. გავიდა წლები და იგივე სურათი განმეორდა: ამ დროს ის „ერთი“ ზვიად გამსახურდია იყო (რა თქმა უნდა, მერაბ კოსტავასთან ერთად), ხოლო ვინ იყო ის „ყველა“ – ედუარდ შევარდნაძე და მისი ამალა. ამ დროსაც იგივე სურათს ვღებულობთ, ჯერ ზვიადის ხალხის მტრად აცხადებენ, მერე განდევნეს და როცა მიხვდნენ, მისი დამარცხება ასე ადვილი არ იყო, ადგნენ და მოკლეს. რა ხდება შემდგომში, აქაც იგივე სურათია, ვირჩევთ მკვლელებს სათავეში და საქართველოს ბედ-იღბალს ისევ მკვლელებს ვანდობთ. აქაც განმეორება ხდება, ერთ მკვლელების ბანდას ანაცვლებს მეორე ჟვანია-სააკაშვილის ბანდა და რა მივიღეთ აქაც, ჩემზე უკეთ იცით! დღესაც საღი გონებით რომ გადავავლოთ თვალი, დავინახავთ, რომ სიტუაცია უცვლელია, დღესაც „ყველა ერთის წინააღმდეგ“ ბრძოლაა გამოცხადებული, ის „ერთი“ ამ შემთხვევაში ბიძინა ივანიშვილია და ის „ყველა“ უამრავია: სააკაშვილი, ალასანია, ნათელაშვილი, ხიდაშელ-უსუფაშვილ-ბერძენიშვილები, ბოკერია-ბაქრაძე-ბარამიძე-მაჭავარიანები და ა.შ.



დღესაც ის „ყველა“ ცდილობს, რომ ბიძინა ივანიშვილი ხალხის მტრად გამოაცხადოს, როგორც ილია და ზვიადი და ჩვენივე ხელებით დაამარცხოს. ზოგი თქვენთაგანი დასვამს კითხვას: რატომ ადრი ილიას, ზვიადის და ბიძინას ერთმანეთსო, რითი ჰგვანან, სად ილია, სად ზვიადი და სად ბიძინაო? მე ასეთ პასუხს გავცემდი: ილია, ზვიადი და ბიძინა სამივე განსხვავებული პიროვნებაა, რა თქმა უნდა, მაგრამ ერთი მსგავსება და საერთო აქვთ, სამივეს საქართველო უყვარს და სამივე ხალხში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. ილია სხვა ეპოქის შვილი იყო, იგი ეროვნული იდეოლოგიის მატარებელი გახლდათ იმ დროს, როცა იდეოლოგია იყო ბრძოლის მთავარი იარაღი, ამიტომაც განგებამ ილია იდეოლოგიით აღჭურვა და ისე ჩაუყენა ქართველ ერს სათავეში. ზვიადი სულ სხვა ეპოქის შვილია, იმ დროს ბრძოლა და შეუპოვრობა იყო საჭირო და სწორედ ასეთად გვევლინებიან ზვიადი და მერაბი, რომლებმაც დამოუკიდებელ საქართველოს ჩაუყარეს საფუძველი. დღეს სულ სხვა ეპოქაა, დღეს ვერც ბრძოლით და ვერც იდეოლოგიით ვერას გახდები, თუ დიდძალი ფული არ გაქვს, სწორედ ამ იარაღით აღჭურვა განგებამ ბიძინა და ისე ჩაუყენა საქართველოს სათავეში. შიდა თუ გარე საქართველოს მტრები სულ მაგას გაიძახიან, აბა, ფული წავართვათ ბიძინას და რა დარჩება – ვნახოთო? ილიასათვის იდეოლოგია რომ წაერთვათ, ზვიადისათვის ბრძოლისუნარიანობა და ბიძინასათვის ფული, მაშინ არც ილია გვეყოლებოდა, არც ზვიადი და არც ბიძინა, ასე რომ, სადაც საჭიროა, ფული სწორედ იმასთან არის. დიდ შოთა რუსთაველს უთქვამს: **„ეგრე მტრისა არ მეშინის, რადგან ცხადად მაწყინარობს: მოყვარესა-მტერსა ვუფრთხი, მემოყვრება, მოცინარობსო“**. ჩვენც აქედან გამოვიტანოთ დასკვნა, გავარჩიოთ, ვინ მტერია და ვინ მოყვარე, არა ლაპარაკით, არამედ საქმეებით და ყოველთვის წინ ვივლით.

დღეს ბიძინა ივანიშვილის მისამართით მხოლოდ ნეგატიურ ინფორმაციას გვაწვდის მედიასაშუალება, არც ერთ გადაცემაში არ გვინახავს თუ რა სიკეთე შეიძლება მოიტანოს ტექნოლოგიურმა ინსტიტუტმა, ან ქუთაისში საუნივერსიტეტო ქალაქის მშენებლობამ, რომელსაც ბატონი ბიძინა აფინანსებს და თითოეული 250 მილიონი ევრო უჯდება, ამას არავინ იტყვის, მაგრამ მე შევახსენებ იმ პოლიტიკოს-ჟურნალისტ-არასამთავრობოებს, 5 ლარი მაინც თუ გაგიღიათ საქართველოსთვის, რა გაგიკეთებიათ ლაპარაკის გარდა, იმის გარდა, რომ როგორმე ლაფში ამოსვაროთ უცხოელ დიპლომატებთან ქართული მენტალიტეტი და ბნელი, გაუნათლებელი მართლმადიდებლები გვიწოდოთ, ხომ ვერ „გავნათლდით“ ქართველები და მამათმავლობა ვერ დავაკანონეთ წეს-ჩვეულებად, ვისაც არ მოგწონთ ჩვენი ქვეყანა, წადით, სადაც უკეთესია, ვინ გაკავებთ, ჩვენ კი აქ დავრჩებით და ვიცხოვრებთ ისე, როგორც ჩვენს წინაპართ სჩვევიათ – **უფლის და სამშობლოს სიყვარულით**. გამოფხიზლდით ქართველებო, 2012 წელს ჩვენ ბრძოლა მოვიგეთ, მაგრამ ომი ჯერ არ მოგვიგია.

**P.S.** რაც 7 ივნისს ვიხილე ტელეეთერში, ამაზრზენი იყო, ზოგიერთი ჟურნალისტი ბიძინა ივანიშვილს ჩასაფრებულის პოზიციიდან ესაუბრებოდა, ორი კაცი აკლდათ: ბერბიჭაშვილი და ვიღაც „იმერელი ბიჭი“.

# სიუზან რაისი: „დონბასის ომი შესაძლოა მიმდინარე წლის ბოლომდე დამთავრდეს“



აშშ-ს პრეზიდენტის მრჩეველმა უსაფრთხოების საკითხებში სიუზან რაისმა განაცხადა, რომ დონბასის ომი შესაძლოა მიმდინარე წლის ბოლომდე დამთავრდეს.

— ჩვენ გვსურს ომი მომავალი წლის 27 იანვრამდე დასრულდეს, როცა პრეზიდენტი ობამა პოსტს დატოვებს, — თქვა რაისმა

აშშ-ს პრეზიდენტის მრჩეველმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ვაშინგტონი გაააქტიურებს კონტაქტებს გერმანიასა და საფრანგეთთან დონბასის პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებით. რაისმა გამოთქვა იმედი, რომ რუსეთი მეტ კეთილგონიერებას გამოიჩენს.

— თუკი რუსეთს სურს, რომ ომი დამთავრდეს და ჩვენ გვგონია, რომ სურს, მაშინ სათანადო ნაბიჯებიც უნდა გადადგას, — აცხადებს რაისი.

აშშ-ს პრეზიდენტის მრჩევლის გამოსვლას მოსკოვი გამოეხმაურა. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა აღნიშნა, რომ თუნდაც ახლა მზად არიან ომი დაამთავრონ. პრობლემა კიევის პოზიციაშია.

— უკრაინა უარს აცხადებს შეცვალოს კონსტიტუცია, ჩაატაროს არჩევნები, მისცეს დონბასს განსაკუთრებული სტატუსი. ამის გარეშე ომი არ დამთავრდება, — თქვა ლავროვმა.

რუსეთის მინისტრმა დააფიქსირა თავისი პოზიცია უკრაინისთვის საზღვრის კონტროლის დაწესებაზეც.

— საზღვარზე კონტროლის აღდგენა გამორიცხულია მანამ, სანამ დონბასი სტატუსს არ მიიღებს. გადაეცემა თუ არა უკრაინას საზღვარზე კონტროლი, კიევისა და დონბასის დიალოგის შედეგად გადაწყდება, — თქვა ლავროვმა.

მან ხაზი გაუსვა, რომ კრემლი ამ პოზიციას არ გადაუხვევს. მეტიც, მან ამერიკელებს მოუწოდა, უკრაინაზე ზეწოლა მოახდინონ და აიძულონ კიევი, რუსული სამშვიდობო სქემა მიიღოს.

— იმედი მაქვს, რომ ჩვენი ამერიკელი პარტნიორები კიევზე ზეწოლას მოახდენენ და აიძულებენ, ომი შეწყვიტოს, — აცხადებს ლავროვი.

უკრაინის პრეზიდენტმა პოროშენკომ დონბასში არჩევნების ჩატარება არ გამორიცხა, თუმცა ხაზი გაუსვა, რომ საამისოდ სათანადო გარემოს შექმნაა აუცილებელი.

— ჯერჯერობით დონბასში ძალადობა გრძელდება. ასეთ პირობებში არჩევნები ვერ ჩატარდება. თუკი ოკუპანტი არჩევნებს მაინც ჩაატარებს, ამას არც ერთი ქვეყანა არ ცნობს, — თქვა პოროშენკომ.

## ერაყის არმია ისლამისტებზე შეტევებს განაგრძობს



ერაყის არმია განაგრძობს ოპერაციებს ისლამისტების წინააღმდეგ ქალაქ მოსულის აღმოსავლეთით. არმია იყენებს ტანკებს, ქვემეხებს, რაკეტებს.

ისლამისტებს ერაყის არმიასთან გამკლავება სულ უფრო უჭირთ.

მიუხედავად ამისა, ისლამისტები ტერაქტებს განაგრძობენ. ერაყის დედაქალაქში ტერაქტები სისტემატურად ხდება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

დასაწყისი მე-7 გვერდზე

## ხაჯიმბა პოზიციების განმტკიცებას ცდილობს?

სოხუმის მერმა დასვა რუსეთისთვის გადასახადის დაკისრების საკითხი:

— რატომ არ შეიძლება, რომ მათ გადასახადები გადაგვიხადონ? რუსებს ჰგონიათ, რომ საჩუქარს გვიკეთებენ. აქ საჩუქრები არ არის. ის კაპიკები, რომელსაც გვაძლევენ, არაფერია იმასთან შედარებით, რასაც ჩვენ ვთავაზობთ. 1 ჰექტარი მიწის იჯარა მილიონი დოლარი ღირს. ჩვენ მათ რამდენიმე ათასი ჰექტარი დავუთმეთ.

ადგურ გადელიას შეეპასუხა აფხაზეთის პირველი თავდაცვის მინისტრი ვლადიმერ არშბა. მისი თქმით, ამგვარი მოთხოვნები იმ სტრატეგიული პარტნიორების მიმართ, რომლებიც უზრუნველყოფენ აფხაზეთის მოქალაქეების უსაფრთხოებას, არაკორექტულია. რუსეთი, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად, მაინც ეხმარება აფხაზეთს. არშბას აზრით, ქალაქის მერი ქალაქის პრობლემებით უნდა დაკავდეს.

ამ სიტუაციაში მდგომარეობის განმუხტვა სცადა რუსეთის ე.წ. ელჩმა აფხაზეთში სემიონ გრიგორიევმა. მისი თქმით, აფხაზეთისთვის მთავარია, რომ რუსეთმა აღიარა მისი დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი. რუსეთის წარმომადგენლის შეფასებით, აფხაზური დელეგაციების მონაწილეობა საერთაშორისო შეხვედრებში მრავლისმეტყველია:

— ძირითადი საერთაშორისო მოთამაშეები აფხაზეთს არ ივიწყებენ. თქვენი ქვეყნის სახელი რეგულარულად ჟღერს გაეროს, ეუთოს, ევროკავშირის, ევროპის საბჭოს მოედნებზე. გრძელდება ჟენევის დისკუსიები კავკასიაში უსაფრთხოების საკითხებზე. შეიძლება ვიდავოთ მათ შედეგიანობაზე, მაგრამ ეს ფორმატი რომ თავისთავად მნიშვნელოვანია, აშკარაა.

## ედინბურგის ჰერცოგმა იუბილეს წინა დღე ბონდიანას ვარსკვლავებთან გაატარა



ედინბურგის ჰერცოგმა პრინცმა ფილიპმა თავისი დაბადების დღის წინა დღე მსახიობის როჯერ მურის, ჯუდი დენიჩის და ჯოანა ლამლის გარემოცვაში გაატარა ბონდიანის თემატურ საღამოზე სტოუკ-პარკში.

აღსანიშნავია, რომ ღონისძიებას მსახიობების გარდა ასევე ესწრებოდნენ პროდიუსერები მაიკლ უილსონი და ბარბარა ბროკოლი, ასევე კომპოზიტორი დევიდ არნოლდი. საღამოს უძღვებოდა კომიკოსი დევიდ უილიამსი.

დაბადების დღეს კი ედინბურგის ჰერცოგმა ფილიპმა, რომელსაც 95 წელი შეუსრულდა და ბრიტანეთის დედოფალმა ელისაბედ II-მ საიუბილეო სურათი გადაიღეს.

აღსანიშნავია, რომ ფოტოსურათი უინძორის სასახლეში იქნა გადაღებული, ხოლო მისი ავტორი ცნობილი ფოტოგრაფი ენი ლეიბოვიტცი გახდა.

## ფინეთის ტბები ბანაობისთვის საუკეთესოა



ბანაობისთვის წყლის ხარისხის მიხედვით ფინეთის ტბები საუკეთესოდ იქნა დასახელებული.

ქვეყნის 250 წყლის ობიექტიდან ევროპის გარემოს დაცვის სააგენტოს ექსპერტებმა სინჯები აიღეს და მათი დასკვნის თანახმად ისინი ბანაობისთვის შესანიშნავია.

კიდევ 28 წყალსატევმა შეფასება „კარგი“ დაიმსახურა, ხოლო მისაღები აღმოჩნდა ექვსი წყალსატევი. 301 გამოკვლეული წყალსატევიდან ორმა არადამაკმაყოფილებელი შეფასება დაიმსახურა.

წყლის სისუფთავის მხრივ, როგორც სანაპიროზე ისე ქვეყნის შიგნით მშვენიერი სიტუაციაა ლუქსემბურგში, ხორვატიაში, იტალიასა და ავსტრიაში. ამ ქვეყნების წყლის რესურსების 90 პროცენტი სპეციალისტების მაღალ შეფასებას იმსახურებს.

ყველაზე ცუდი მდგომარეობაა ალბანეთში, რომლის წყალსატევების 40 პროცენტი ყველაზე დაბალი ხარისხის წყლით გამოირჩევა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა


**წვერსაპარსი PHILIPS**
**50 ლარი 90-ის ნაცვლად**



- ✓ მოძრავი პირები, რომლებიც იმეორებს თქვენი სახის კონტურს;
- ✓ მოქნილი ერგონომიკა ოპტიმალური ხმარებისთვის;
- ✓ სამუშაო ძაბვა 220 ვტ;
- ✓ გასაწმენდი ჯაგრისი;
- ✓ აკუმულატორი;
- ✓ მოჰყვება დამტენი;
- ✓ დატენვის ინდიკატორი;
- ✓ ბაკების გასასწორებელი;
- ✓ ორმაგი უჟანგავი რკინის პირი;
- ✓ მუშაობს შიდა აკუმულატორზე;
- ✓ ტრიმერი ბაკების და ულვაშების გასასწორებლად;

**შეიძინეთ Mozer-1800 – პროფესიონალი გერმანული თმის საკრეჭი!**
**50 ლარად 95 ლარის ნაცვლად**



MADE IN GERMANY

ძრავი: 6 000 ბრ/წთ
ხმაურის დაბალი დონე;
საწმენდი ჯაგრისი, დანების ზეთი;
ხუთი საკრეჭი თავი
მასალა - უჟანგავი ფოლადი.

**სმენის აპარატი 45 ლარად 90 ლარის ნაცვლად**



1. ხმის გაძლიერება 50დБ.–120
2. ხმის რეგულირება.
3. ერგება ორივე ყურზე.
4. პატარა, მსუბუქი, შეუმჩნეველი.
5. კომპლექტშია: მოწყობილობა 1 ც რბილი რეზინები ყურებისთვის 3ც. ელემენტები LR41 – ჩასადები ყუთი, ინსტრუქცია.

მაღაზია Stop&Shop
დარეკეთ წინასწარ! ☎: 2-182-186.
მის: ვაჟა-ფშაველას №79. (უკანა მხარე)
579 885 996



**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**



**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო



## განცხადებები

### იყიდება

- იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 593 50-16-08.
- ვყიდი ხის ფანჯრებს. ტელ: 557-68-83-43.

### მკურნალობა

- ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.
- მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.



**მკურნალობა მამაკაცებისთვის!**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

# ხორვატიამ, პოლონეთმა და გერმანიამ მოსაგებლი მოიგეს

## დ ჯგუფი

**თურქეთი – ხორვატია 0:1**

**პარიზი.** პარკ დე პრენსი

0:1 მოდრიჩი (41)



**თურქეთი:** ბაბაჯანი, ერკინი, ბალტა, ტოპალი, გონიული, ინანი, თურანი (ილმაზი, 65), ოზიაკუპი (შენი, 46), ტუფანი, ჩალჰანოღლუ, ტოსუნი (მორი, 69)

**ხორვატია:** სუბაშიჩი, სრნა, ჩორლუკა, ვიდა, სტრინიჩი, მოდრიჩი, ბადელი, ბროზოვიჩი, რაკიტიჩი (შილდენფელდი, 89), პერიშიჩი (კრამარიჩი, 87), მანჯუკიჩი (პიაცა, 93).

საინტერესო მატჩი გამოდგა, თუმცა სხვებზე ნაკლებად თვალსასეირო. განსაკუთრებულ ქათინაურებს იმსახურებს ანტე ჩაჩიჩის გუნდი, რომელმაც ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის შთაბეჭდილება დატოვა. ამ თამაშით, ხორვატები ჩემპიონატის ფავორიტები არიან. თუმცა, მეტოქე თურქეთი იყო, ვნახოთ, რა გამოუვათ ხორვატებს დარჩენილ მატჩებში.

ხორვატები მთელი მატჩის განმავლობაში აღემატებოდნენ მეტოქეს და მხოლოდ 1 ბურთით რომ მოიგეს, უფრო უიღბლობისა და მომენტების გამოუყენებლობის ბრალია. გოლების არგატანას კი თურქეთზე უფრო გამოცდილი და ძლიერი მეტოქე არ აპატიებს არავის.

შესვენებამდე თურქებმა მეტნაკლებად გაუწიეს მეტოქეს წინააღმდეგობა და ერთი მომენტიც შექმნეს, მაგრამ სუბაშიჩმა ივარგა. ტაიმის ბოლოსკენ კი მოდრიჩმა ფანტასტიკური გოლი გაიტანა და ამის შემდეგ თურქეთის ნაკრები საერთოდ ჩაიკარგა.

სამაგიეროდ, ხორვატები უფრო სახიფათოდ უტევდნენ და 2-ჯერ ბაბაჯანის კარი ხარიხამ გადაარჩინა, რამდენჯერმე ხორვატებს სიზუსტემ უმტყუნა. თუმცა, ჩაჩიჩის შეგირდებმა პლეი ოფისკენ დიდი ნაბიჯი გადადგეს. აი, თურქებს კი, უმძიმესი ბრძოლების გადატანა მოუწევს.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ლუკა მოდრიჩი

ბრწყინვალე მატჩი ითამაშა ხორვატთა დისპეტჩერმა. შემტევი ნახევარმცველი არც შავი სამუშაოების ჩატარებას ერიდებოდა, ხოლო ხორვატთა ყველა შეტევა მისით იწყებოდა და მოდრიჩიც ისეთ პასებს „აძვრენდა“, რომ თურქები გონს ვერ მოდიოდნენ. გოლზე კი რა გითხრათ – ისეთი დააქუხა, ბაბაჯანი უშანსოდ დატოვა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ხორვატია | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 2ესპანეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0-0 | 0 |
| 3.ჩეხეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0-0 | 0 |
| 4.თურქეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |

## ც ჯგუფი

**პოლონეთი – ჩრ.ირლანდია 1:0**

**ნიცა.** ალიანს რივიერა

1:0 მილიკი (51)

**პოლონეთი:** შჩესნი, იედრჟეიჩეკი, პაზდანი, გლიკი, პიშჩეკი, კაპუსტკა (პეშკო, 88), მაჩინსკი (იოდლოვეცი, 78), კრიხოვიაკი, ბლაშჩიკოვსკი (გროსიცკი, 80), მილიკი, ლევანდოვსკი

**ჩრ.ირლანდია:** მაკგოვერნი, მაკლაფლინი, კატჩარტი, ევანსი, მაკოლი, მაკნეირი (დალასი, 46), ნორვუდი, დევისი, ბეირდი (უორდი, 76), ფერგუსონი (ვაშინგტონი, 66), ლაფერტი

ჩრდილოეთ ირლანდიელებმა ამხანაგურ მატჩებში თავი კარგად წარმოაჩინეს და პოლონელებთან ყველა დაძაბულ ბრძოლას ელოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. თუმცა, სასტარტო სასტვენიდან დაწყებული, საფინალომდე სლავები მთლიანად აკონტროლებდნენ მატჩს და არანაირი პრობლემა არ შექმნიათ 3 ქულის მოსაპოვებლად.

ადამ ნავალკას გუნდმა კარგი ფეხბურთი აჩვენა, აკონტროლებდა ბურთს, კარგად იყენებდა ფლანგებს. ჯერ კიდევ პირველ ტაიმში პოლონელებმა რამდენიმე საგოლე მომენტი გაანიავეს. სამაგიეროდ, მეორეს დებიუტშივე გაიტანეს და საქმის ბოლომდე მიყვანას მშვიდად შეუდგნენ. სიმშვიდეში ტემპის დაგდება და ანგარიშის შენარჩუნება არ იფიქროთ – პოლონელები ისევ უტევდნენ, ფლობდნენ ბურთს, ტერიტორიას. მეტოქის ცვლილებებმა არანაირი შედეგი არ გამოიღო. შესაძლოა, ეს მღელვარების ბრალიც იყო – ჩრდილოირლანდიელები ხომ პირველად არიან დიდ საფეხბურთო ტურნირზე.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – არკადიუშ მილიკი**

აქტიური იყო პოლონელთა ახალგაზრდა ფორვარდი. თვით ლევანდოვსკიც კი ჩრდილში დატოვა. უფროსი თანაგუნდელების მიერ შექმნილ სივრცეებს კარგად იყენებდა და გოლიც გაიტანა.

**გერმანია – უკრაინა 2:0**

**ლილი.** მეტროპოლი

1:0 მუსტაფი (19), 2:0 შვაინშტაიგერი (90)

**გერმანია:** ნოიერი, ჰიოვედესი, მუსტაფი, ბოატენგი, ჰექტორი, ხედირა, კროოსი, იოზილი, მიულერი, დრაქსლერი (შიურლე 78), გიოტცე (შვაინშტაიგერი 90)

**უკრაინა:** პიატოვი, ფედეცკი, რაკიცკი, ხაჩერიდი, შევჩუკი, სტეპანენკო, სიდორჩუკი, კოვალენკო (ზინჩენკო73), იარმოლენკო, კონოპლიანკა, ზოზულია (სელეზნიოვი 66)

ვერც უკრაინელებმა შეძლეს ხმაურიანი სენსაციის მოხდენა. ფომენკოს შეგირდებმა იბრძოლეს, მაგრამ წააგეს. გერმანელებს არ უნდა დავუკარგოთ გარჯა – მოიგეს დამსახურებულად.

რაღაც იმედი უკრაინას პირველ ტაიმში ჯერ კიდევ ჰქონდა. მართალია, თამაშზე კონტროლი თავიდანვე ლიოვის შეგირდებმა დააწესეს, მაგრამ უკრაინელებიც მწარედ იჩხვლიტებოდნენ, მაგრამ დიდებულად მოთამაშე ნოიერს ვერაფერი მოუხერხეს.

დიდებული იყო მთლიანად გერმანია, რომელმაც ღია თამაში შესთავაზე მეტოქეს და ყველაფერი მოსინჯა, რაც თანამედროვე ფეხბურთშია მოსალოდნელი. ესეც დიდებულად გამოუვიდათ.

მე-2 ტაიმში კი უკრაინა სრულიად მოიშალა და ბუნდესნაკრებიც უფრო შთამბეჭდავი გახდა. ბურთსაც გამუდმებით ფლობდნენ, ტემპსაც აკონტროლებდნენ და მომენტებსაც ქმნიდნენ, მაგრამ გოლის გატანა მხოლოდ ბოლო წუთზე მოახერხეს.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – მანუელ ნოიერი

შეგვეძლო ტონი კროოსიც დაგვესახელებინა, მაგრამ გერმანელთა შეტევების სულისჩამდგმელს ჰქონდა პატარ-პატარა შეცდომები. მანუელი კი შეუდარებელი იყო – ორჯერ ისეთი ბურთი მოიგერია, თქვენი მოწონებული.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.გერმანია | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 0 |
| 2.პოლონეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 3.ჩრ.ირლანდია | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 4.უკრაინა | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |

# ევროკალეიდოსკოპი



ხორვატიის ნაკრების კაპიტანმა დარიო სრნმა ეროვნული გუნდის შემადგენლობა დატოვა. ამის მიზეზი ფეხბურთელის მამის გარდაცვალება გახდა. სრნა მამის დაკრძალვაზე გაემგზავრა და მისი ნაკრებში დაბრუნების თარიღი უცნობია.

ხორვატიის ფეხბურთის კავშირმა სოციალური ქსელით ფოტო გამოაქვეყნა, რომელსაც აქვს წარწერა – კაპიტანო, შენთან და შენს ოჯახთან ერთად ვართ.

* * *

უბედური შემთხვევა დაფიქსირდა ნიცაში. ჩრდილოეთ ირლანდიის ეროვნული ნაკრების გულშემატკივარი არაფხიზელ მდგომარეობაში ზღვის სანაპიროს კლოვან ნაწილში სეირნობისას, დაახლოებით 8 მეტრიდან გადავარდა.

შეგახსენებთ, რომ ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებმა ევრო 2016-ის მატჩში პოლონეთთან განიცადა მარცხი (0:1). გულშემატკივარი სწორედ ამ მატჩთან დაკავშირებით იმყოფებოდა ნიცაში.

* * *

უეფა 2016 წლის ევროპის ჩემპიონატიდან 2 მილიარდი ევროს შემოსავალს ელოდება. თუ ევროპის საფეხბურთო ორგანიზაცია აღნიშნულ თანხას მიიღებს, უკრაინასა და პოლონეთში გამართული წინა ჩემპიონატის შედეგს გააუმჯობესებს.

2012 წელს უეფამ 1.4 მილიარდი ევრო მიიღო. ერთია, პოლონეთ-უკრაინაში გუნდების რაოდენობა საფრანგეთში გასამართ ჩემპიონატთან შედარებით 8-ით ნაკლები გახლდათ. პლუს, ევრო 2016-ზე ბილეთების რაოდენობა 25%-ით გაიზარდა. სპონსორების რაოდენობის 40%-იანი ზრდა დაფიქსირდა და უეფა ფინანსური მხარდამჭერებისგან 450 მილიონ ევროს მიიღებს.

# ეროვნულ ჩემპიონატში გუნდები დაწყვილდნენ

ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის ახალი კალენდარი ცნობილია.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ ცენტრ ბასაზე გუშინ ჩატარდა წილისყრა, რომელმაც გარდამავალ ჩემპიონატში გუნდები დააწყვილა.

**ა ჯგუფი:** დინამო (თბილისი), შუქურა (ქობულეთი), ტორპედო (ქუთაისი), ცხინვალი, ლოკომოტივი (თბილისი), ჩიხურა (საჩხერე), გურია (ლანჩხუთი);

**ბ ჯგუფი:** სამტრედია, სიონი (ბოლნისი), დილა (გორი), დინამო (ბათუმი), კოლხეთი (ფოთი), ზუგდიდი, საბურთალო (თბილისი);

ორივე ჯგუფის ბოლოადგილოსანი ქვედა ლიგაში დაქვეითდება, ხოლო ჯგუფების მეხუთე და მეექვსეადგილოსნები ჯვარედინად დაწყვილდებიან და ორმატჩიან პლეი-აუტში გაარკვევენ მომავალი სეზონის უმაღლესი ლიგის საგზურის მფლობელს.

პლეი-ოფი გაარკვევს უეფას თასის მონაწილეთა ვინაობასაც: მეორე და მესამეადგილოსნები ასევე ჯვარედინი დაწყვილებით გამოავლენენ საუკეთესოებს, რომლებიც ნეიტრალურ მოედანზე ბრინჯაოსთვის ითამაშებენ. ხოლო ჩემპიონის ვინაობა ჯგუფების გამარჯვებულთა შორის შინ და სტუმრად მატჩებში გაირკვევა.



გარდამავალი ჩემპიონატი 7 აგვისტოს დაიწყება და 15 დეკემბერს დასრულდება.

გაიმართა საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის წილისყრა, რომლის შესარჩევი ეტაპი 15 აგვისტოს გაიმართება, 24 აგვისტოს კი, პირველი ეტაპი აიღებს სტარტს.

**შესარჩევი ეტაპი:** ა) სქური – იმერეთი; ბ) სულორი – რუსთავი; გ) ჭიათურა – მეშახტე; დ) გარდაბანი – მარკ სტარსი;

**პირველი ეტაპი:** ბორჯომი – საპოვნელა; ოდიში – დ-ს გამარჯვებული; ა-ს გამარჯვებული – სიონი; სამგურალი – ტორპედო; კოლხეთი (ხ) – ცხინვალი; მერანი – დინამო (ბთ); ჩხერიმელა – საბურთალო; ლიახვი – შუქურა; გაგრა – გურია; გ-ს გამარჯვებული – კოლხეთი (ფ); ვიტ-ჯორჯია – ლოკომოტივი; ბ-ს გამარჯვებული – ზუგდიდი.

# ბრაზილიის ნაკრები კოპა ამერიკას გამოეთიშა



ბრაზილიის ეროვნულმა ნაკრებმა კიდევ ერთი ფიასკო განიცადა. ამჯერად პენტაკამპიონები კოპა ამერიკის საიუბილეო გათამაშების ჯგუფიდან ვერ გავიდნენ. ბრაზილიამ პერუსთან წააგო 0:1 და ეს მარცხი გადამწყვეტი აღმოჩნდა.

აღსანიშნავია, რომ მატჩის ერთადერთი გოლი პერუელმა რაულ რუიდასმა ხელით გაიტანა, მაგრამ მსაჯმა ეს ვერ შეამჩნია. ბრაზილიელები დიდხანს აპროტესტებდნენ მსაჯის ამ გადაწყვეტილებას, მაგრამ უშედეგოდ.

ამრიგად ბრაზილიაში მეოთხედფინალში ვერ გავიდა და სავარაუდოდ მის მთავარ მწვრთნელს დუნგას ეს თავის სამუშაოდ დაუჯდება.

ბრაზილიის ნაკრები ბოლო პერიოდში ცუდ შედეგებს აჩვენებს და მას 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მოსახვედრადაც სერიოზული ბრძოლა მოუწევს.

# შედეგები

12 ივნისი

ფეხბურთი

ევროპის ჩემპიონატი

თურქეთი-ხორვატია ...................... 0:1

პოლონეთი-ჩრ.ირლანდია ............ 1:0

გერმანია-უკრაინა ........................ 2:0

კოპა ამერიკა

ეკვადორი-ჰაიტი ............................ 4:0

ბრაზილია-პერუ ............................. 0:1

ესპანეთი.

სეგუნდა დივიზიონი

პლეი ოფი

ხირონა-კორდობა ............. 2:1(3:1დდ)

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# იაპ სტამი რედინგის მწვრთნელი გახდა



წარსულში ცნობილი ჰოლანდიელი ფეხბურთელი იაპ სტამი, რომელიც წლების მანძილზე მანჩესტერ იუნაიტედის ღირსებას იცავდა, რედინგის ახალი მთავარი მწვრთნელია.

რედინგი ამჟამად ინგლისის რანგით მეორე დივიზიონში, ჩემპიონშიფში გამოდის და მისი მთავარი მიზანი პრემიერ ლიგაში დაბრუნებაა.

სტამმა რედინგთან ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. მისი თქმით, ის ბედნიერია, რომ ამ გუნდში მუშაობის საშუალება მიეცემა.

იაპ სტამი მანჩესტერ იუნაიტედის გარდა, იტალიაში, ლაციოში თამაშობდა და ერთი პერიოდი ჰოლანდიის ნაკრების კაპიტანიც იყო.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის განმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# სამუდამო პატიმრობა საჭესთან ნასვამ მდგომარეობაში ჯდომის მოყვარულისთვის



ამერიკის ტეხასის შტატის მონტგომერის ოლქის სასამართლომ სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა მამაკაცს, რომელიც 1980 წლიდან 2013 წლის ჩათვლით ცხრაჯერ იქნა შემჩნეული მანქანის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვაში.

მოსამართლე კეტლინ ჰემილტონმა დონალდ მიდლტონი რეციდივისტად და გამოუსწორებელ დამნაშავედ მიიჩნია. ამასთან, უცნობია, მანამდე რატომ არ ჩამოართვეს მამაკაცს მანქანის მართვის მოწმობა.

2015 წელს მიდლტონი, საჭესთან არაფხიზელ მდგომარეობაში მჯდომი, შეასკდა ავტომობილს, რომელიც შემხვედრ ზოლზე მოძრაობდა. მანქანას, რომელსაც ჰიუსტონელი შეასკდა, მონტგომერელი პოლიციელის 16 წლის შვილი მართავდა. საბედნიეროდ, ის არ დაშავებულა, მაგრამ მიდლტონი შემთხვევის ადგილიდან გაიქცა და შეეცადა, იქვე შორიახლოს მდებარე მაღაზიაში დამალულიყო, მაგრამ გამყიდველებმა ის პოლიციელებს ჩააბარეს.

ტეხასელი მანქანის საჭესთან მთვრალ მდგომარეობაში მჯდომი პირველად 1980 წელს დააფიქსირეს. 1997 წელს მიდლტონი კვლავ ამხილეს მსგავს დანაშაულში, ხოლო 2000 წელს, რამდენიმე ანალოგიური შემთხვევის შემდეგ, ციხეში ჩასვეს. ხუთი წლის შემდეგ ის ისევ მოხვდა საპატიმროში ისევ მანქანის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვისთვის და კიდევ ერთხელ, 2008 წელს, ასეთი მერვე დარღვევის გამო.

# იტალიელ მოსწავლეებს საშინაო დავალებების შესრულება აუკრძალეს



იტალიის ქალაქ მამოიადაში, რომელიც სარდინიაზე მდებარეობს, მოსწავლეებს ზაფხულში საშინაო დავალებების შესრულება აუკრძალეს. ამის შესაბამისი ბრძანება ქალაქის მერმა ლუჩანო ბარონემ გამოსცა.

დეკრეტი 15 პუნქტისგან შედგება და ის ქალაქის ყველა სასწავლო დაწესებულებას გადაეგზავნა.

— არდადეგები ყველა მოსწავლისთვის სავალდებულოა. უმჯობესი იქნება, თუ დაწერთ, წაიკითხავთ, იცეკვებთ, ხანგრძლივ გასეირნებებს მოაწყობთ, უყურეთ ფილმებს და შეხვდით ალიონს, — განაცხადა ლუჩანო ბარონემ.

მერს მიაჩნია, რომ სწავლის პერიოდში მოსწავლეები მეტისმეტად გადატვირთულები არიან და ამიტომ, რატომ არ უნდა მიეცეთ მათ არდადეგების დროს მეტი თავისუფლება, რათა საკუთარი ცხოვრებით დატკბნენ.

# ნაომი კემპბელი შიდსთან ბრძოლისთვის დაჯილდოვდა



ბრიტანელმა სუპერმოდელმა ნაომი კემპბელმა პრემია მიიღო შიდსის და ვიჩ-ის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობისთვის.

კემპბელი 20 წელზე მეტია დაკავებულია შიდსის წინააღმდეგ ბრძოლისთვის თანხების მოზიდვით. მისი შრომა ამერიკის შიდსის კვლევის ფონდმა ჯილდოთი დააფასა. დაჯილდოების ცერემონია ნიუიორკში გაიმართა.

სუპერმოდელმა განაცხადა, რომ ბედნიერია ასეთ ღონისძიებაზე იმ მეგობრებთან და ადამიანებთან ერთად ყოფნით, რომლებსაც უკვე 23 წელია იცნობს. ხოლო საკუთარ ტვიტერში კემპბელმა დაამატა, რომ ეამაყება ის ფაქტი, რომ შიდსის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობს.

# ნუდისტურ რესტორანში მსუქნებსა და ხანდაზმულებს არ უშვებენ

იაპონიაში შიშვლებისთვის განკუთვნილ პირველ რესტორანში ასაკობრივი და წონითი შეზღუდვა იქნა დაწესებული.

რესტორან ემრიტას ვებგვერდზე გამოქვეყნდა მოთხოვნების სია, რომელსაც ის თავის პოტენციურ კლიენტებს უყენებს. აუცილებელ პირობებს შორის რესტორნის ხელმძღვანელობამ წამოაყენა მოთხოვნა, რომ ასაკი 18 წელზე ნაკლები



არ უნდა იყოს და 60-ს არ უნდა აღემატებოდეს. ასევე ყველა მომსვლელს, რომელთა წონა გარკვეული სიმაღლისთვის დაწესებულ ნორმას 15 კილოგრამზე მეტად აღემატება, რესტორანში სტუმრობისგან თავის შეკავებას ურჩევენ.

რესტორანი უფლებას იტოვებს, აწონოს ყოველი მომსვლელი, რომლის წონაც ეჭვს გამოიწვევს. ასევე რესტორანში ვერ მოხვდებიან ის ადამიანები, რომლებსაც სხეულზე სვირინგები ექნებათ. გარდა ამისა, კლიენტებს მოუწევთ საკუთარი ტელეფონებისა და სხვა ელექტრომოწყობილობების საგანგებო კარადებში დატოვება, რათა დაწესებულებაში სურათის გადაღება ვერავინ შეძლოს.

ასევე რესტორნის ვებგვერდზე გამოქვეყნებულია თხოვნა, რომ არ შეეხონ მათთვის უცხო სტუმრებს და არც მათთან საუბრის გაბმა ცადონ.

ნუდისტების რესტორანი ტოკიოში 29 ივლისს გაიხსნება. ამ დღისთვის განკუთვნილი ყველა შესასვლელი ბილეთი, რომელთა ფასი 14 ათასიდან 28 ათას იუანამდეა (დაახლოებით 130-260 დოლარი), უკვე გაყიდულია.

მოამზადა
კახა ხატიაშვილმა



# ტიტანის სამკურნალო მაგნიტური სამაჯური



სამაჯური ხასიათდება უნიკალური სამკურნალო და გამაჯანსაღებელი თვისებებით.ჩატარებული მეცნიერული კვლევების შემდეგ 2005 წელს ევროპამ და 2006 წელს ამერიკამ აღიარეს, როგორც 21 საუკუნის პროდუქტი. ჩვენება არეგულირებს არტერიულ წნევას. ხსნის სტრესს, დაღლილობას, სახსრებისა ხერხემლისა და თავის ტკივილს. აწესრიგებს ძილს, იმუნურ სისტემას. ხელს უშლის კიბოს უჯრედების განვითარებას. არეგულირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში. აძლიერებს ნაწლავურ ფლორას, არეგულირებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, ამაღლებს ტონუსს, აქვს ძლიერი ანტიოქსიდანტური მოქმედება, გვარდება ნევროზები, გამოაქვს ორგანიზმიდან „შლაკები“, მარილები, წამლისგან დარჩენილი ნივთიერებები, მისი ყოველდღიური მოხმარება არეგულირებს მეტაბოლიზმს (ნივთერებათა ცვლა). გაჯანსაღების გზით ხდება წონის კორექცია, გვარდება ნევროზები, პოტენცია, ადამიანი ხდება ენერგიული, ეხსნება ქრონიკული დაღლილობის შეგრძნება და ა.შ.

ის იწყებს ძიებას ორგანიზმში რა არის დაზიანებული, თვითონ აგნებს და ზუსტად იქიდან იწყებს მოგვარებას. მას აგრეთვე უწოდებენ „მაგიურ სამაჯურს“

დაახლოებით 10 წუთში თქვენ ნათლად გრძნობს სითბოს ან ჩხვლეტას მაჯაზე. თუმცა, ზოგიერთი ადამიანი, გრძნობს რამდენიმე საათის ან 2-3 დღის შემდეგ. რამდენიმე დღეში იგრძნობთ რომ შეგიმსუბუქდათ ტკივილები, რომელიც წლების განმვლობაში გაწუხებდათ. სამაჯურის მუდმივად მოხმარების შემდეგ კი უკვალოდ ქრება. ტიტანის სამაჯურის მოხმარების შემდეგ პაციენტს აღარ სჭირდება ზედმეტი წამლები.

შემადგენლობა ტიტანის სამაჯაურში ჩასმულია სამედიცინო მაგნიტი. (ნეოდიმი). ნეოდიმი მაგნიტებს შორის არის ყველაზე ძლიერი მუდმივი მაგნიტი.

არ ახასიათებს გვერდითი მოვლენები, მწარმოებელი ქვეყანა გერმანია. მიწოდება შესაძლებელია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ბინაზე. ფასი 50 ლარი.

**მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 79. ტელ: 2 182 186.**
**შეკვეთები მიიღება ნომერზე: 579 885 996.**



# მოხიბლული მაყურებელთა გულისხმა

გულში ვერ ვიტევ სათქმელს. ნეტავ ისეთი სიტყვა ვპოვო, რომლითაც მრავალრიცხოვან პენსიონერთა მადლიერებით სავსე გულისხმას გამოვხატავ.

სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, მიუხედავად იმისა, თავიანთი ქალაქიდან გამოდევნილებს საკუთარი შენობა არ გააჩნიათ, სხვადასხვა თეატრებს შეკედლებულნი, მაინც ახერხებენ საკუთესო მსახიობების მონაწილეობით, დაუვიწყარი სპექტაკლებით გაახარონ მაყურებელი, მორალურად შეუმსუბუქონ დღევანდელობით დამძიმებული ყოფა.

საქართველოს პენსიონერთა კავშირის გამგეობა, თავმჯდომარე ბატონი ადრიან კოპლატაძე ასეულობით პენსიონერთა სახელით მადლობას უხდის ქველმოქმედებისათვის თეატრის დირექტორს ბატონ ჯემალ ქირიას, სამხატვრო ხელმძღვანელს დავით საყვარელიძეს, მთავარ ადმინისტრატორს კახა შარაშიძეს.

წელს თეატრს 130 წელი უსრულდება, ვულოცავთ! ვუსურვებთ დღეგრძელობას, საკუთარ სცენას, წარმატებებს. სეზონის დასრულებასთან დაკავშირებით კი, კარგ დასვენებას...

კულტმენეჯერი — ნანა დარჩიაშვილი

# ასტროპროგნოზი
## 14 ივნისისთვის



**ვერძი** – სასიცოცხლო პოტენციალი მაღალ დონეზეა. ემოციების გამოვლენა რაციონალურ აზროვნებაში ხელს შეგიშლით. ნუ ეცდებით, ყველა პრობლემის მოგვარებას ერთდროულად შეეჭიდოთ. **კურო** – სამსახურში წინსვლა გელით. თქვენი პროფესიონალიზმი და შრომისმოყვარეობა ხელმძღვანელობას შეუმჩნეველი არ დარჩება. **ტყუპები** – დღის პირველ ნახევარში ოპტიმისტურად და ენერგიულად ხართ, რაც გარშემომყოფებზე დადებითად იმოქმედებს. ყურადღება მიაქციეთ როგორც საკუთარ, ისე ახლობლების ჯანმრთელობას. **კირჩხიბი** – სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. გაგიმახვილდებათ ინტუიცია. საჭირო დროს საუკეთესო გადაწყვეტილებას მიიღებთ. ნუ იქნებით იმპულსური. **ლომი** – ახალი საქმის დაწყება წარმატებული იქნება, თუ მოქმედების ტაქტიკას გონივრულად შეარჩევთ. ეს განსაკუთრებით შემოქმედებითი პროფესიის ადამიანებს ეხებათ. **ქალწული** – სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. გაგიმახვილდებათ ინტუიცია. საჭირო დროს საუკეთესო გადაწყვეტილებას მიიღებთ. ნუ იქნებით იმპულსური. **სასწორი** – არაკეთილისმყოფელი დღეა კოლექტიური საქმიანობისათვის. წარმატება გელით ინდივიდუალური მუშაობისას. დღის მეორე ნახევარში იფრთხილეთ, რადგან ტრავმის მიღების ალბათობა იზრდება. **ღრიანკალი** – დღის პირველ ნახევარში ნებისმიერი საქმე წარმატებით დაგვირგვინდება. რთული სიტუაციიდან თავის დაღწევა არ გაგიჭირდებათ. **მშვილდოსანი** – თუ მსხვილი საქმიანი კონტრაქტი შემოგთავაზეს, დათანხმდით. წარმატების გარანტი თქვენი ახლო გარემოცვაა. **თხის რქა** – ჰარმონიული დღეა, შესაფერისი პერიოდი აქტიური და შინაარსიანი დასვენებისათვის. ნებისმიერ საქმე დღეს თავს იოლად გაართმევთ. მზად იყავით რომანტიკული თავგადასავლებისა და სასიყვარულო ურთიერთობებისთვის. **მერწყული** – ნებისმიერ სიტუაციაში სიმშვიდე შეინარჩუნეთ. განსაკუთრებით ერიდეთ კონფლიქტს საქმიან პარტნიორებთან. **თევზები** – რთული დღეა, შესაძლოა, გარკვეულ კომპრომისზე წასვლა მოგიხდეთ. ფულს იოლად ნუ დახარჯავთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. პოპულარული პარკი თბილისში; 2. მე-17 საუკუნის ქართველი დიპლომატი ქალი; 3. ზარების დამრეკი, სანთლების ამნთები ეკლესიის მსახური; 4. ქალაქი იმერეთში; 5. ეგვიპტელი ქრისტიანები; 10. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 11. დასავლეთ საქართველოში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის სუფრის ჯიში; 12. სამხედრო გემების დიდი შენაერთი; 15. წყლის საათი; 16. კუნთების კრუნჩხვითი შეკუმშვა; 17. გაერთიანებული სამეფოს დედაქალაქი; 20. ფრანგი შანსონიე ქალი.

**თარაზულად:** 6. მონასტერი ბოლნისის რაიონში; 7. მდინარე ნიუ იორკში; 8. კუთხე საქართველოში; 9. განუხორციელებელი ოცნება, ფანტაზია; 13. ხელოვნების ერთ-ერთი დარგი; 14. პატიოსნება, სინდისი; 18. ხილის წვენებით, კარტოფილის ფქვილითა და შაქრით მომზადებული ტკბილეული; 19. აკვიატებული შიში; 21. საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრებისა და ჰოლანდიის „ვიტესის“ ფეხბურთელი; 22. პრივილეგირებული, მემკვიდრეობითი წოდება ძველად საქართველოში; 23. ღვინის დუქანი ძველ თბილისში; 24. ირანის ძველი სახელწოდება.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. კლიენტი; 3. იადონი; 8. არკადა; 10. პაშტეტი; 11. ოდეტა; 12. ნირვანა; 14. საირმე; 15. კრამერი; 16. დუბლი; 19. მილეტი; 20. ვიგვამი; 21. ვარანი.

**შვეულად:** 1. კომედიანტი; 2. ტატამი; 3. იმპერია; 4. ნეონი; 5. პროპანდი; 6. მასრა; 7. რაპორტი; 9. კატერი; 13. კეგლი; 17. ბანა; 18. პაი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. კოროზია; 2. კაკოფონია; 3. „იზა“; 4. ინა; 5. კორეა; 6. აკირა; 7. პრიზი; 8. ოგასტა; 9. ტატრა; 10. „ტამანგო“; 11. ალათაუ; 12. არ; 13. პლანიმეტრია; 14. ლემა; 15. რეი; 16. კნაჭა; 17. ზომა; 18. ნო; 19. დი; 20. გირაგი; 21. ჭია; 22. კაზინო; 23. სკალა; 24. კაა; 25. მი; 26. სკამი; 27. არაკი; 28. ობოლაძე; 29. პანტა; 30. ელი; 31. პალმა; 32. ეტლი; 33. ანძა; 34. ისანი; 35. კარამელი.

**სურათებზე:** ემა ბანტონი; ფაბიენ ბარტეზი.

# სამგლოვიარო განცხადებები



## განშორების ერთი წელი

დიელო, გავიდა ტკივილიანი ერთი წელი 14 ივნისს, წახვედი მაშინ, როცა ყველაზე მეტად სჭირდებოდი ოჯახს, ელენეს, პატარა ბარბარეს, რომლის დაბადებასაც ვერ მოესწარი. ელენე ღირსეულად აღზრდის პატარას ღვთისნიერი დედამთილის მარინას დახმარებით და სურათით გააცნობს დიელო ბებიას.

შენს საფლავთან შევიკრიბებით ახლობლები. მოვეფერებით შენს ლამაზ სულს, ცრემლებით გავათბობთ დარდიან გულს, რომელიც ყოველთვის სიყვარულისა და სიკეთის მატარებელი იყო, თუმცა, შენი გულის სითბო შენმა შვილმა გიგამ და... ბოროტად გამოიყენეს. დაგინთებთ წმინდა სანთლებს. უფალს შევევედრებით გაგინათოს გზა, დაგიმკვიდროს მარადიული სასუფეველი იქ, სადაც მართალნი განისვენებენ. იძინე მშვიდად შრომით დაღლილო, შვილებსა და ოჯახზე გადაყოლილო.

ვიდრე ვიცოცხლებთ, არ დაგივიწყებთ,
გვექნება ნატვრა გაუხუნარი,
ისღა გვამშვიდებს, რომ სუყველანი
დროებითა ვართ სოფლის სტუმარი.
ნათელში გამყოფოს ღმერთმა.

***მარად შენი სულის სადიდებლად მლოცველნი მეუღლე ნოდარი, შვილი ელენე, სიძე ჯაბა, ძმა გენადი ოჯახით, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით, მძახლები მარინა და მიშა, მეუღლის დეიდა ნუნუ ძამუკაშვილი, ბიძა ვაჟა ებანოიძე ოჯახით***



## უკანასკნელი როლი
## მსახიობ დალი წერეთლისადმი

გლოვის ზარი დაირეკა უფლის ტაძარში! დღეს უკანასკნელი როლი დუმილის გერგო. შენს ფერშეცვლილ, ულამაზეს სახეს განა ეტყობოდა, რომ მარადიული ძილით გეძინა? უკანასკნელ როლშიც კი ისეთივე მომხიბლავი იყავი, როგორიც კინოფილმებში: „ზედა კვირტები“, „მთვარის მოტაცება“, „ხევსურული ბალადა“, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილი“, და განა მარტო სპექტაკლებს, შენი ჯადოსნურად გაშლილი მკლავებით ხომ კავსაძისა და სუხიშვილების მოცეკვავეთა ანსამბლსაც ამშვენებდი.

ისტორიულად ცნობილი საუკეთესო წინაპრების, წერეთლების შთამომავალი, დიდებული მშობლების აღზრდილი, სახელოვანი, ალალმართალი ქართველი ქალი, იყავი საამაყო შვილი, სამაგალითო მეუღლე, ამაგდარი დედა, უსაყვარლესი ბებია, უანგარო დედმამიშვილი, გულისხმიერი, კეთილსინდისიერი, ერთგული მეგობარი, თანამდგომი.

ქალაქის ახალგაზრდობა და მეგობრები თეატრალური ინსტიტუტის მშვენებას თეატრის სინდისს, ქალაქის კოლორიტს გეძახდნენ. გვწამს, სამოთხის საუფლოში დაიდებ ბინას. ჩვენს გულებში კი სიცოცხლის ბოლომდე იქნება შენი ნათელი ხსოვნა.

შენს ნათელ კვალზე ანთებული მოგიზგიზე ლამპარი არ ჩაქრება, შენი ქალიშვილი გოგოლა კალანდაძე შემატებს ალს, დედისეული ხიბლით შეასრულებს როლებს.

თბილ საბნად გექცეს ცრემლდანამული ქართული მიწა.

***შენთან სამუდამო განშორებით გულმოკლული საახლობლო***



ჩვენი უსაყვარლესი, ქართულ თეატრზე უზომოდ შეყვარებული მსახიობი, მეტყველების პედაგოგი, თეატრ-სტუდია „მოდი ნახეს“ დასის მმართველი, ბევრი თაობის აღმზრდელი, ყოველთვის მომღიმარი, კეთილი, სისადავითა და ერთგულებით სავსე, დიდთან დიდი და პატარასთან პატარა

## მანანა სიმონიშვილი

გარდაიცვალა.

მიუხედავად იმისა, რომ მისთვის სიცოცხლე დღესასწაული არ ყოფილა, თავად ცდილობდა მის დღესასწაულად ქცევას, მასში სრულუფლებიან მონაწილეებად ეპატიჟებოდა ყველას, ამიტომ აირჩია მან მსახიობის რთული, მაგრამ საინტერესო გზა.

ამიტომაც ამზადებდა წლების განმავლობაში მომავალ მსახიობებს, თეატრ-სტუდია „მოდი ნახე“ -ში. ძნელი სათქმელია, რომელი უფრო ძლიერი იყო მის არსებაში, მსახიობი თუ პედაგოგი, მაგრამ ფაქტია, რომ იგი რასაც აკეთებდა, აკეთებდა მთელი გულითა და მონდინებით.

თეატრ–სტუდიის სცენაზე განსახიერებული აქვს 20-ზე მეტი საინტერესო სახე სხვადასხვა სპექტაკლებში, მათ შორის რეზო კლდიაშვილი, ჯონ სტეინბეკი, სპექტაკლში „პილონი“ დორას როლის შესრულებისათვის მიღებული აქვს პრიზი ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ანტალიის საერთაშორისო ფესტივალებზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ნ.დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“ მამიდა, ოტია იოსელიანის „6 შინაბერა და ერთი მამაკაცი“ ია, ფერნანდო ჯოვანინი „ანტონელა“ ლაურა და სხვა მრავალი.

წავიდა სიკეთით, მომხიბვლელობით, თვითმყოფადობით აღსავსე და ასეთად დარჩება. გვემახსოვრება მანამ, სანამ მზის ქვეშ თუნდაც ერთი მისი აღზრდილთაგანი იქნება.

ცუდი სიტყვაა გემშვიდობებით, რადგან ჩვენ ის ხალხი ვართ, გარდაცვალების შემდეგ სულის უკვდავებისა რომ გვწამს, ამიტომ ნახვამდის, ზეციურ საქართველოში შეხვედრამდე, ძვირფასო მანჩო.

***სიყვარულითა და პატივისცემით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეატრ-სტუდია „მოდი ნახე“***

აფხაზეთის ნაღები ინტელიგენცია, ნათესაობა და სამეგობრო წრე გულისტკივილით იუწყება, რომ გარდაიცვალა პედაგოგიური საზოგადოების ბრწყინვალე წარმომადგენელი, დიდებული მეუღლე, დედა და ბებია, აფხაზეთის დამსახურებული მასწავლებელი

## ირა არტემის ასული გეგეჭკორი-კახიანი

და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს და უახლოეს ნათესავებს.
ნათელში იყოს მისი უწმინდესი სული!

***ნაპო მესხია, ნოდარ ზარანდია, ზურაბ ბუკია, რაჟდენ ქარდავა***

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12–დან 17 საათამდე.**

# ამერიკაში „ვოისის“ მონაწილე მოკლეს



ფლორიდაში პოპულარული მუსიკალური შოუს „ვოისის“ მონაწილე მოკლეს.

22 წლის მომღერალს, კრისტინა გრიმის მაშინ ესროლეს, როდესაც ის ორლანდოში გამართული კონცერტის შემდეგ თავის ფანებს ავტოგრაფებს ურიგებდა.

გოგონას მოულოდნელად უცნობი მამაკაცი მიუახლოვდა და ესროლა.

კრისტინა გრიმი ჯგუფ „მარუნ 5-ის“ ვოკალისტის ადამ ლევინის გუნდის წევრი იყო. მან 2014 წლის „ვოისში“ მესამე ადგილი დაიკავა.

მკვლელის შეჩერება მომღერლის ძმამ სცადა, მაგრამ დამნაშავე ორი ცეცხლსასროლი იარაღით იყო შეიარაღებული და მან თავი მოიკლა. კრისტინა გრიმი ექიმებმა საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. გოგონა მიყენებული ჭრილობებისგან გარდაიცვალა.

თუ რა გახდა კრისტინა გრიმიზე თავდასხმის მიზეზი, ამ დრომდე უცნობია.

# ქართული ანბანი 2.300 წლისაა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ა | Ⴀ | an - a | მ | Ⴋ | man - m | ღ | Ⴖ | ghan - gh |
| ბ | Ⴁ | ban - b | ნ | Ⴌ | nar - n | ყ | Ⴗ | q'ar - q' |
| გ | Ⴂ | gan - g | ო | Ⴍ | on - o | შ | Ⴘ | chin - sh |
| დ | Ⴃ | don - d | პ | Ⴎ | par - p | ჩ | Ⴙ | tchin - ch |
| ე | Ⴄ | eni - e | ჟ | Ⴏ | jan - zh | ც | Ⴚ | tsin - c |
| ვ | Ⴅ | vin - v | რ | Ⴐ | rae - r | ძ | Ⴛ | dzil - dz |
| ზ | Ⴆ | zen - z | ს | Ⴑ | san - s | წ | Ⴜ | ts'il - ts' |
| თ | Ⴇ | than - t | ტ | Ⴒ | t'ar - t | ჭ | Ⴝ | tch'ar - tch' |
| ი | Ⴈ | in - i | უ | Ⴓ | oun - u | ხ | Ⴞ | khan - kh |
| კ | Ⴉ | k'an - k | ფ | Ⴔ | phar - f | ჯ | Ⴟ | djan - j |
| ლ | Ⴊ | lass - l | ქ | Ⴕ | khar - q | ჰ | Ⴠ | hae - h |

ენათმეცნიერი ლევან ღვინჯილია ქართველ საზოგადოებას შეახსენებს, რომ ქართული ანბანი 2.300 წლისაა და მას განსაკუთრებული დაცვა და გაფრთხილება სჭირდება, პირველ რიგში კი, ისევ ქართველებისგან, რომლებიც მკვდარ ლათინურ ენას წინა პლანზე აყენებენ.

**ლევან ღვინჯილია:**

– ქართველ „რომაელთა“ გასაგონად და წასაკითხად, თუ ყურადაც იღეთ, ამას რა აჯობებს?!

წელს ქართული ანბანის შექმნიდან 2.300 წელი სრულდება!!!

თქვენ გესმით, ეს რას ნიშნავს და რა ერის შვილებად მიიჩნევით?

თქვენ კი ამ 23-საუკუნოვან „ღვთაებრივ საუნჯეზე“ მაღლა დიდი ხნის მკვდარ ლათინურს აყენებთ!!!

არ გრცხვენიათ მაინც???

...და თანაც, ევროპაში უვიზოდ ხეტიალი გვინდა არა???

„ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი?“

# ლაშა ღლონტმა ქალიშვილი გაათხოვა



მომღერალმა ლაშა ღლონტმა ქალიშვილი გაათხოვა. მომღერალი ანი ღლონტი თორნიკე მაისურაძეს გაჰყვა ცოლად.

ანიმ და თორნიკემ ერთმანეთი ეკა ხოფერიას გადაცემაში გაიცნეს სიმღერის დროს და მათი მეგობრობა სიყვარულში გადაიზარდა, რაც საბოლოოდ ოჯახის შექმნით დაგვირგვინდა.

წყვილმა ყველა ქართული ტრადიცია დაიცვა, თორნიკე ღლონტებს ოჯახში ესტუმრა და ანი დანიშნა, ქორწილი კი ოჯახებმა მოგვიანებით დაგეგმეს.

საქორწილო სუფრა მცხეთაში, გუჯარში გაიშალა, სადაც ანიმ და თორნიკემ უამრავი საპატიო სტუმარი მიიწვიეს. დღესასწაულს ესწრებოდნენ დათო გომართელი, მერაბ სეფაშვილი, გიო ხუციშვილი, ეკა კვალიაშვილი, ნატო მეტონიძე, დათო არჩვაძე, ნინი ბადურაშვილი, ნატო გელაშვილი, ლიზა ბაგრატიონი, დათუნა სირბილაძე, ნუკა მარგველაშვილი, დათო ნოზაძე, ნათია პერანიძე, კახა გრიგალაშვილი, აჩიკო გოგიტიძე, „თეატრალურის კვარტეტი“, „ალილო“, „ჰერიო“.

პატარძალს 7.000 ლარიანი კაბა ეცვა.

სოციალურ ქსელში ანის და თორნიკეს ქორწილის უამრავი ფოტო და ვიდეო გავრცელდა. წყვილის შეხვედრის მთავარმა „დამნაშავემ“ ეკა ხოფერიამ ახლად შეუღლებულებს გაბედნიერება საჯაროდ მიულოცა:

– ანი და თორნიკე, გილოცავთ, მიყვარხართ! ერთმანეთი ჩემს გადაცემაში გაიცნეს სწორედ სიმღერის დროს და უსაზღვროდ ბედნიერი ვარ მათი ქორწილით და სიყვარულით.

# გიორგი სუხიტაშვილი: „რატომ არ გვესმის რუსული ჩექმის ხმა?“



– რატომ არ გვესმის ე.წ. რუსული ჩექმის ხმა? – ამ კითხვას მომღერალი გიორგი სუხიტაშვილი სვამს და პასუხსაც თვითონ სცემს.

**გიორგი სუხიტაშვილი:**

– რატომ ვერ ვხედავთ იმას, რომ ყოველდღე საზღვარი მოიწევს, რატომ არ გვესმის ე.წ. რუსული ჩექმის ხმა?

და რატომ გაიგეთ ძალიან მართალი და ნამდვილი პროტესტი უკუღმა, ზოგიერთებმა, როდესაც ქართველმა, აქ მხოლოდ ეროვნებაზე არაა საუბარი, ქართულად და თავისუფლად მოაზროვნე ადამიანზეა ვსაუბრობ, გიორგი თვალაბეიშვილმა რუსეთ-საფრანგეთის მატჩის კომენტატორმა გააკეთა ჩემთვის მატჩის ყველაზე მაგარი „ჰაილაითი“...

სწორია, მე არ ჩავუწიე ტელევიზორს, მაგრამ მთელი ამ ჰიმნის დროს „ქართლური მოკითხვა“ გავაყოლე „ლაიტმოტივად“...

ვისაც გული გეტკინათ გიორგის კომენტარზე და ჩემს „გულთბილ მოხსენიებაზე“, გამოდით, მინდა, მინიმუმ თვალი შეგავლოთ.

# ომარ ხუბაევს ვარსკვლავი გაუხსნეს



ლეგენდარული „სუხიშვილების“ ყოფილ სოლისტს, ანსამბლის ოქროს კავალერს ომარ ხუბაევს თბილისის დიდი საკონცერტო დარბაზის წინ ვარსკვლავი გაუხსნეს. ღონისძიება კულტურის პალატის ინიციატივით ჩატარდა.

იამზე დოლაბერიძის, ომარ ხურციძის, ფრიდონ სულაბერიძისა და ომარ მხეიძის შემდეგ, ომარ ხუბაევი გახდა სუხიშვილების შემდგომი მოცეკვავე, რომელსაც სახელობითი ვარსკვლავი დიდი საკონცერტო დარბაზის წინ დაიმსახურა. ომარ ხუბაევი საქართველოს დამსახურებული არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსია.

ვარსკვლავოსან ხელოვანს კულტურის სამინისტრომ უმაღლესი ჯილდო „ხელოვნების ქურუმი“ ქართული ხელოვნების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის მიანიჭა.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# TV პროგრამა

**სამშაბათი 14 ივნისი**

**07.30** დ/ფ "დიდებული სასახლეები" **08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.15** "მოამბე" **08.05, 09.15** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**ცოდვა და სირცხვილი**" **12.30** დ/ფ "ჯეიმის კერძები 30 წუთში" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.05** "XX საუკუნე" **14.30** ან/სერ. "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **15.00** "**ევრო – 2016**" **16.30** მხ/ფ "**აპოლო 13**" (ტ.ჰენკსი) **19.25 ევრო-2016. 19.50 ფეხბურთი. ევრო 2016. ავსტრია – უნგრეთი. 22.00 ევრო-2016. 22.50 ფეხბურთი. ევრო 2016. პორტუგალია – ისლანდია. 01.00 ევრო-2016. 01.25** მხ/ფ "**გორილები ნისლში**" (ს.უივერი)

**08.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30** "ბრიფინგის დრო" **10.00** "გეოფაქტორი" **10.10** "აფხაზეთი" **11.00** დ/ფ "ახალგაზრდული სული" **13.00** დ/ფ "ღრუბელი სამყაროს თავზე" **14.00** დ/ფ "ვისუნთქოთ ან არ ვისუნთქოთ" **16.00** დ/ფ "მცენარეთა საიდუმლოებები" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **21.30** "არგუმენტების დრო" **23.00** "ნამდვილი დრო"

**06.00, 14.40** სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.30** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ბამბის ველი**" **11.20** სერ. "**დახურული სკოლა**" **12.30** დღის შოუ **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ელიფი**" **22.00** ცოდნა ფულია **23.20** გრიფით საიდუმლო **00.00** ილო ბეროშვილის შოუ **01.00** მხ/ფ "**ტერმინალი**"

**06.30** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **007.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.55** სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.45** სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" **19.45, 20.05** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **20.50** ლოტო **22.00** არჩევანი **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

GDS **8.00** ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" **9.00, 19.30** სერ. "**მენტალისტი**" **10.00, 18.30** სერ. "**კარგი ცოლი**" **11.00, 2.45** სერ. "**გრეის ანატომია**" **13.00** სერ. "**ძვლები**" **15.00** შუადღე **17.30** ცოლები და ქმრები **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.20** არჩევნები **2012** დაიჯესტი **20.30 20.30 22.30** სერ. "**სამეფო კარის თამაშები**" **0.00** სერ. "**ჯოჯოხეთი ბორბლებზე**" **1.00** მხ/ფ "**ფოტო ერთ საათში**"

**06.10** სპექტაკლი "**ალალე**" **07.55** საქართველოს სამართლის ისტორია **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30**"განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** პატერიკი **10.40** საქართველოს ქალაქები-ქუთაისი **11.10** დ/ფ "კადრს მიღმა" **11.30** ერთი წვეთი **11.40** საეკლესიო აღმშენებლობა **12.10** მხ/ფ "**ალყა**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "ასპენიუმი" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ან/ფ **15.30** ტელე ზღაპარი "ნაცარქექია" **15.50** დ/ფ "ჩვენი ფეხბურთი" **16.20** კონცერტი **17.15** მგზავრები წუთისოფლისა **17.45** სიბრძნისმეტყველება **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** დ/ფ "ნოდარ მამისაშვილი" **20.00** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **22.25** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.30** დ/ფ **00.30** ერთსულოვნების სალონი **01.00** "შუადღე ერთსულოვნებაზე"

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 00.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **8.00** სერ. "**ბერძენი ქალი**" **10.05** სერ. "**ტატიანა**" **11.05** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30** სერ. "**უკანასკნელი მაგიკიანი**" **13.00, 14.05, 1.00** სერ. "**გულს ვერ უბრძანებ**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **16.05, 17.05, 2.30** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05** სერ. "**ქალთა ექიმი**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. "**სახიფათო ქალი**" **21.40** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **22.35** სერ. "**შულერი**" **23.30** სერ. "**ჟუნა**"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**14 ივნისისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.1274

ევრო — 2.4033

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0701

100 რუსული რუბლი — 3.3001

## ამინდის პროგნოზი 14 ივნისისთვის




## 14 ივნისიდან

### ალბერტო მორავია ჩოჩარა




**ოქროს ბიბლიოთეკა მე-6 ტომი**

წიგნში დიდი მხატვრული ოსტატობით არის გადმოცემული ის უბედურება, რომელიც თავს დაატყდა იტალიის მოსახლეობას ოკუპაციის წლებში.

1960 წელს ვიტორიო დე სიკამ ამ რომანის მიხედვით გადაიღო ფილმი. ის ეხება იტალიის პროვინცია ჩოჩარაში მცხოვრებ ქალს, რომელსაც სურს, მეორე მსოფლიო ომის საშინელებებისგან დაიცვას თავისი მცირეწლოვანი შვილი.

ფილმში მთავარ როლს სოფი ლორენი ასრულებს.

**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**

## 16 ივნისიდან




### მარიო ვარგას ლიოსა ცუდი გოგოს ოინები

**ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი**

„ცუდი გოგოს ოინები“ დიდი მწერლის, ნობელის პრემიის ლაურეატ მარიო ვარგას ლიოსას ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული რომანია.

მწერალი მოგვითხრობს ქალისა და მამაკაცის რთული ურთიერთობის შესახებ, რომელიც ადრეულ სიყმაწვილეში იწყება და თითქმის ორმოცი წლის განმავლობაში სდევს პერსონაჟებს.

წიგნს ვრცელი გეოგრაფია აქვს – ლიმა, პარიზი, ლონდონი, ტოკიო, მადრიდი, სადაც ორიგინალურად ერწყმის ერთმანეთს ამ ქალაქებში მომხდარი უჩვეულო მოვლენები და რომანის გმირების არაორდინარული ურთიერთობა.

## კურნიკოვამ იგლესიასთან ფოტო გამოაქვეყნა



ყოფილმა ჩოგბურთელმა ანა კურნიკოვამ ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა უიშვიათეს ესპანელ მომღერალ ენრიკე იგლესიასთან ერთად გადაღებული ფოტოსურათი.

ფოტოსურათზე თავად ანასა და იგლესიასის გარდა, აღბეჭდილია ჩოგბურთელის უმცროსი ძმა ალან კურნიკოვა.

შეგახსენებთ, რუსი ჩოგბურთელის და ესპანელი მომღერლის ურთიერთობა 2001 წელს დაიწყო და 15 წლის მანძილზე არასოდეს გამოუქვეყნებიათ ერთობლივი ფოტოსურათი.

ალსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის მაისის ბოლოს კურნიკოვამ გამოაქვეყნა ვიდეო, რომელზეც გადაღებულია, თუ როგორ ცეკვავს ის იგლესიასის სიმღერაზე.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი

ქუჩაში მამაკაცი ქალს ეკითხება:

– უკაცრავად, ქალბატონო, ხომ ვერ მეტყვით რომელი საათია?

– ბატონო, საათი სახლში დამრჩა, წამომყევით და ვნახოთ...

•••

ორი ნაცნობი საუბრობს, ერთი მეორეს ეუბნება:

– ამ დილით ადრე ავდექი და პარკში ჩავედი სავარჯიშოდ. მივრბივარ და ვხედავ საპირისპირო მხრიდან ჩემსკენ უცხოპლანეტელები მორბიან...

– სისულელეა, ვერასოდეს დავიჯერებ, რომ დილით ადრე ადექი და დარბოდი...

•••

ნარკომანი ავტობუსში ადის, ხელზე მოსასხამი აქვს გადაკიდებული და ისეთ კაიფშია, რომ ლამისაა წაიქცეს. ერთ მოხუც ქალს შეეცოდა და ეუბნება:

– დაჯექი, შვილო, არ წაიქცე...

– არა, ბებო, როგორ გეკადრებათ, არ წავიქცევი.

– მაშინ ეგ მოსასხამი მაინც მომეცი, დავიჭერ და აღარ შეწუხდები.

– არა, ბებო, ეს მოსასხამი კი არა, ვასიკოა!

•••

სამი მამაკაცი ლაპარაკობს. ერთი ამბობს:

– ჩემს ცოლს იმხელა მკერდი აქვს, რომ სხვას არავის ექნება.

მეორე ამბობს:

– ჩემს ცოლს იმხელა მკერდი აქვს, რომ ბალიში აღარ მჭირდება, თავი მის მკერდზე მიდევს.

მესამე კი ამბობს:

– ჩემს ცოლს ცისფერი თვალები აქვს.

– ეგ რა შუაშია?

– დანარჩენი სულ მკერდია.

•••

დაბოლილი ტიპი ავტობუსში ყვირის:

– ვინ დაკარგა 10 ლარი?

ხმას არავინ იღებს, ის კი ისევ ყვირის:

– ვინ დაკარგა 10 ლარი, ვინ დაკარგა 10 ლარი!

ბოლოს ერთი ბებო ეტყვის:

– მე დავკარგე, შვილო!

– მერე, რას ზიხარ? დაკარგე და მიდი, ეძებე!

•••

საცეკვაო მოედანზე ბიჭი გოგონას მიმართავს:

– თქვენთან შეიძლება?

– შეიძლება, მაგრამ ჯერ ვიცეკვოთ...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## 10 ივნისიდან

### დიდი ექვთიმე




ეს წიგნი დიდი ქართველი მეცნიერისა და მოღვაწის ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების სრულყოფილი წარმოჩენის ცდაა.

მასში შესულია 32 მეცნიერისა და მწერლის სტატიები დიდი ექვთიმეს შესახებ.

წიგნში რეალურადაა წარმოჩენილი ქვეყნიდან გატანილი განძის საქართველოში დაბრუნების დეტალები და დაბრუნებული განძის ერთი ნაწილის ილუსტრაციები.

წიგნი მთლიანად ეძღვნება წმინდა ექვთიმე ღმერთისკაცის განვლილ მოწამეობრივ გზას განსაწმენდლიდან წმინდანობამდე.

**მაგარი ყდა, 725 გვერდი**

**ფასი გაზეთთან ერთად 15 ლარი**

## მანჩესტერ იუნაიტედი ვერატიში 100 მილიონ ევროს იხდის



მანჩესტერ იუნაიტედი აგრძელებს სატრანსფერო ბაზარზე აქტიურად მუშაობას და ამჯერად მისი სამიზნე პსჟ-ს იტალიელი ნახევარმცველი მარკო ვერატია.

ვერატიზე პრეტენზიას ბევრი სხვა გრანდიც აცხადებს, თუმცა პარიზელები არ აპირებენ მას ადვილად შეელიონ. მანჩესტერ იუნაიტედი მზად არის ამ ტრანსფერში 100 მილიონი ევრო გადაიხადოს. გარდა ამისა, მანჩესტერელები თვითონ ვერატისაც კარგ პირობებს სთავაზობენ და მისი წლიური ანაზღაურება წელიწადში 8 მილიონი ევრო იქნება.

ალსანიშნავია, რომ ვერატი საკმაოდ ხშირად იღებს ტრავმებს და წლევანდელ ევროპის ჩემპიონატში სწორედ ამ მიზეზის გამო არ თამაშობს.

## კოუტინიო ლივერპულიდან წასვლას არ აპირებს




ლივერპულის ბრაზილიელმა შემტევმა ნახევარმცველმა კოუტინიომ გუნდში თავის მომავალზე ისაუბრა და თქვა, რომ წასვლას არ აპირებს.

ბოლო პერიოდში ხშირად ვრცელდებოდა ჭორები იმის შესახებ, რომ კოუტინიო სხვა კლუბში გააგრძელებდა კარიერას, რადგან მისი შეძენით პსჟ და ბარსელონა არიან დაინტერესებული.

კოუტინიოს თქმით, ის ლივერპულში ბედნიერია და კლოპთან ერთად მუშაობა დიდ სიამოვნებას ანიჭებს.

ლივერპულში კოუტინიო 2013 წელს გადავიდა და მას შემდეგ გუნდის ერთ-ერთი ლიდერია.

## პიანიჩი იუვენტუსში გადავიდა



ტურინის იუვენტუსმა რომას ბოსნიელი ნახევარმცველი მირალემ პიანიჩი შეიძინა. ამის შესახებ იუვენტუსის ოფიციალური ვებ გვერდი აცხადებს.

გარდა ამისა, ინტერნეტში გაჩნდა სურათი, სადაც პიანიჩი ტურინელების სავარჯიშო ბაზაზე იმყოფება.

ბოსნიელი ნახევარმცველი კონტრაქტს ხელს სავარაუდოდ უახლოეს დღეებში მოაწერს.

პიანიჩი ამჟამად 26 წლის არის და ის რომას ერთ-ერთ ლიდერად ითვლებოდა. მისი შეძენა ინგლისურ კლუბებსაც სურდათ, მათ შორის ლივერპულს და ჩელსის, თუმცა მირალემმა იტალიაში დარჩენა ამჯობინა.

იუვენტუსს ეს ტრანსფერი 30 მილიონი ევრო დაუჯდა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ქართული სპორტული რადიო; 2. თავისუფალი ფორმის პატარა ლიტერატურული ნაწარმოები; 3. შამპანურის შემქმნელად მიჩნეული ბენედიქტელი ბერი; 4. კუბის ფორმის წმინდა მეჩეთი მექაში; 5. ბარსელონას ძველი სახელწოდება; 8. სათამაშოების მწარმოებელი დანიური ფირმა; 9. პატიმრობა განსაკუთრებით მკაცრ პირობებში; 10. იაპონიის სახელმწიფო ჰიმნი; 12. რძეში მოზელილი თონეში გამომცხვარი კვერცხწასმული პური; 13. მართალი, პატიოსანი ადამიანი; 15. ძმები ჯაჭვლიანების მხატვრული ფილმი.

**თარაზულად:** 1. საფრანგეთში მოღვაწე ქართველი კინორეჟისორი ქალი; 6. კამერული მუსიკის ერთ-ერთი ჟანრი; 7. შოტლანდიელ მამაკაცთა კაბა; 10. პერიოდულად შრობადი მდინარეების სახელწოდება ავსტრალიაში; 11. შაქრის წარმოების ცენტრი საქართველოში; 13. ნივთიერების უმცირესი ნაწილაკი; 14. ტრაგედია „ოტელოს“ პერსონაჟი; 16. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი ქართული ფირმა; 17. მდინარე ისრაელსა და პალესტინაში; 18. თეატრალური სცენის გასანათებელი პროჟექტორი.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**




ლურჯი წითელი ყვითელი შავი